ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“
+„რიშელიე“
8 ლარი
30 მაისიდან
13 ივნისამდე




სამშაბათი, 31 მაისი, 2011 №127 (5508) ფასი: 30 თეთრი

# ჩვენ ხალხს მსხვერპლზე არ წავიყვანთ

## 26 მაისის სისასტიკისთვის ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს



გვ.4

## „დამისახელეთ ქვეყანა, სადაც დეპუტატს აქციაზე ყოფნის გამო აკავებენ“



გვ.2



## რატომ არ აკავებენ ბადრი ბიწაძეს?

გვ.3

## ყინწვისში შეიარაღებული დაჯგუფება დააკავეს

გვ.2

## ნინო ბურჯანაძე გირაოს გადახდას არ აპირებს



გვ.4



გვ.6

## აქციის დაშლის ლეგიტიმურობაში ეჭვი არავის ეპარება



გვ.3

## ოქრუაშვილი საქართველოს ჩეჩენი „ბოევიკების“ მფარველობაში ადანაშაულებს

## *ნონა გაფრინდაშვილი:* „სახალხო კრება“ ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე გააგრძელებს

გვ.2





გვ.6

## 26 მაისის ტრაგიკულ დღეზე გარკვეული პასუხისმგებლობა ჯონ ბასსაც ეკისრება

### ჟურნალისტი ზვიად თხელიძე დააკავეს

სამართლდამცავებმა სტუდია „ჯიენეს“-ის გადაცემა „კვირის რეპორტაჟის“ ჟურნალისტი ზვიად თხელიძე დააკავეს.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ სტუდიიდან აცნობეს, სამართალდამცავებმა ზვიად თხელიძე სახლში დააპატიმრეს.

— დაკავების მიზეზი უცნობია. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს, — აცხადებენ სტუდიაში.

## 3090
### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** შს სამინისტრო 26 მაისთან დაკავშირებით არც ერთ მოქალაქეს დაკარგულად არ განიხილავს

**9** არმიამ ყველაფერი მოიგო

**6** „თავისუფალი საქართველო“ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ უჭერს

**10** კახა ცაბაძე კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ მეორედ აირჩიეს

შედით საიტზე atb.ge

„%!!

# „დამისახელეთ ქვეყანა, სადაც დეპუტატს აქციაზე ყოფნის გამო აკავებენ“

ნანა მიშელაშვილი

**ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს. აღნიშნული წინადადებით გუშინ გამართულ ბრიფინგზე კარლო კოპალიანი გამოვიდა. ოპოზიციონერმა დეპუტატმა 26 მაისის მოვლენების მოგვიანებით შეფასება იმით ახსნა, რომ დარბევის დროს მოიწამლა და ამიტომ ვერ გააკეთა განცხადება.**



— ჯერ კიდევ შოკში ვარ, რაც 26 მაისს ვიხილე იმ მეთოდებთან დაკავშირებით, რაც საკუთარი ხალხის დასარბევად ხელისუფლებამ გამოიყენა. ვცდილობ, უემოციოდ ვისაუბრო, მაგრამ არ გამომდის, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი ამბობს, რომ ბევრი საპროტესტო აქციის მონაწილეა, კერძოდ, 1978 წლის 14 აპრილის, 2003, 2007, 2009 წლების აქციების, მაგრამ მსგავსი რამ არც ერთი აქციის დაშლის დროს არ უნახავს, რადგან ხალხი ალყაში მოაქციეს და გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ.

— ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია, ხალხს არ მისცეს დაშლის საშუალება. ეს იყო დარბევა, ტერორი, დაპატიმრება, ცემა. ხელისუფლებამ ყველა მეთოდი გამოიყენა, რომ ხალხისთვის გადაევლოთ. ერთი ჩიხიც კი არ იყო დატოვებული, სადაც ხალხი გაიქცეოდა. როდესაც დარბევა დაიწყო, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხალხი ცდილობდა გარიდებოდა, მაგრამ გასაქცევი ადგილი არ იყო, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

დეპუტატის შეფასებით, 21-ე საუკუნეში არ ელოდა თუ მსგავსი ფაქტები კიდევ ხდებოდა. „კინოში, მხატვრულ ფილმში არ მინახავს მსგავსი რამ“, — აღნიშნა კოპალიანმა.

ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატის თქმით, ამ აქციების დროს ბევრი ადამიანი გაიცნო, რომლებიც 2003 წლის აქციის მონაწილეები იყვნენ, როდესაც ეს ხელისუფლება ვარდების რევოლუციის გზით მოვიდა სათავეში.

— სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ის ხალხი, რომელიც კანონიერად აპროტესტებდა თავის დუხჭირ ცხოვრებას, რისი უფლებაც კანონით და კონსტიტუციით მათ აქვთ, ქვეყნის მტრებია და მათ ისე უნდა გაუსწორდე, როგორც ქვეყნის მტრებს, — განაცხადა კოპალიანმა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ისაუბრა იმ ადამიანებზეც, რომლებიც დაპატიმრებული, ნაცემი და დაკარგულები არიან. კარლო კოპალიანის თქმით, თუკი აქცია კანონიერი მეთოდებით დაიშლებოდა, არაფერი არ მოხდებოდა, არც მსხვერპლი იქნებოდა და არც არაფერი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

დეპუტატი ჟურნალისტების ცემის ფაქტსაც გამოეხმაურა და ტელევიზიასთან მიმდინარე აქცია გაიხსენა, რომლის დროსაც ერთ-ერთი ტელეკომპანიის კამერას მიკროფონი გაუტეხეს. კოპალიანით თქმით, ამის გამო აქციის ორგანიზატორები ლამის ჯვარს აცვეს და პარლამენტის თავმჯდომარემაც კი გააკეთა მაშინ კომენტარი.

— პარლამენტის თავმჯდომარეს მინდა მივმართო, ახლა გააკეთოს ანალოგიური შეფასება მომხდართან დაკავშირებით, რამდენი ჟურნალისტი დაზარალდა, რამდენ ჟურნალისტს სცემეს, კამერის დამტვრევაზე არ არის საუბარი, ადამიანების დამტვრევაზეა საუბარი. ძალიან კარგად ვიცნობ დავით ბაქრაძის ოჯახს, მას მივმართავ: ძალიან ბევრი ადამიანი ვნახე თქვენი ბაბუის, თქვენი მამის მოსწავლეები აქციაზე, რომლებიც ნაცემები არიან ამ ხელისუფლების მიერ. ველოდები, რომ თქვენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, როგორც ქვეყნის მეორე პირი, შეფასებას მისცემთ აღნიშნულ მოვლენებს, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

დეპუტატმა საბჭოთა კავშირის პერიოდი და მერვე პოლკი გაიხსენა, რომელიც ხალხში ცნობილი იყო, როგორც უდედმამო ბავშვებისგან შემდგარი სამხედრო დანაყოფი.

— მე ვიტყოდი, რომ რაც 26 მაისს ვნახე, წარმოუდგენელია, ეს ადამიანები სახლში როდესაც მიბრუნდნენ, თავის შვილებს როგორ მოეფერნენ, ან როგორ ცხოვრებენ, თუმცა, მათ შორის ბევრი კარგი ადამიანიც იყო, — აღნიშნა კოპალიანმა და საკუთარი დაპატიმრების სცენა ჟურნალისტებს დეტალურად აუწყა.

26 მაისს კარლო კოპალიანი დააპატიმრეს, როგორც თავად ამბობს, ხელები გაუკრეს და თავისუფლების მოედნის მიმართულებით წაიყვანეს. კოპალიანი განმარტავს, რომ თავდაპირველად იგი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა დააკავეს, შემდეგ სპეცრაზმელს გადასცეს, მათ კი პოლიციას.

— იმ პოლიციელებში, საბედნიეროდ, კიდევ აღმოჩნდა ერთი ნორმალური პოლიციელი, არ ვიცი მიცნო, არ ვიცი მართლა კარგი ადამიანი იყო, „დამიბევა“ და თქვა, ეს ჩემი დაპატიმრებულია, არ სცემოთო, ჩამსვა „მარშუტკაში“ და პოლიციის სამმართველოში წამიყვანეს. გზაში მკითხეს, ვინა ხართო, გამჩხრიკეს და როდესაც გაიგეს, რომ დეპუტატი ვიყავი, თავიანთ უფროსებს გადაურეკეს. იქიდან ბრძანება მოვიდა, გაუშვითო და მაშინვე გამიშვეს, — აღნიშნა კოპალიანმა.

დეპუტატი მოითხოვს დაასახელონ ერთი ქვეყანა, სადაც მოქმედ პარლამენტარს მშვიდობიან აქციაში მონაწილეობის გამო აპატიმრებენ.

— მე არ გამიგია, რომ მოქმედ პარლამენტარს მშვიდობიან აქციაში მონაწილეობისთვის ქუჩაში იჭერდნენ, — აღნიშნა კოპალიანმა.

ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატის შეფასებით, კარგად დაგეგმილი „სადამსჯელო ოპერაციის გამო“ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. მისივე თქმით, ეს ყველაფერი სამხედრო ოპერაციის დონეზე იყო დაგეგმილი.

— პასუხისმგებლობას ასევე ვაკისრებ ყველა იმ პოლიტიკურ გაერთიანებას თუ მოძრაობას, რომლებმაც ეს ხალხი ქუჩაში მიატოვეს. ისეთი სიჩუმე იყო ბოლო დღეს საქართველოსა და თბილისში, რომ ეჭვი მიჩნდება, ყველამ იცოდა ამის შესახებ, როგორი სადამსჯელო ოპერაცია იგეგმებოდა მშვიდობიანი, მშიერი ხალხის წინააღმდეგ. ვიღაცას გაუჩნდება შეკითხვები, ვიღაც ფულს არიგებდა, ვიღაც მთვრალი იყო. მე 5 დღის განმავლობაში ვიდექი ამ ხალხთან და ვიცი, რომ მათ კანონიერი პროტესტი ჰქონდათ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი იმ ფაქტსაც აპროტესტებს, რომ 26 მაისს სხვადასხვა რაიონებში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა და ფეიერვერკები გაუშვეს.

— გაოცებული ვარ თუ როგორ აღნიშნეს რეგიონებში ეს „გამარჯვება“ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მე, როგორც ცაგერის რაიონის წარმომადგენელი, ჩემს რაიონზე გეტყვით, იქ ჩატარდა დიდი კონცერტი, გაუშვეს ფეიერვერკები და ალბათ, შემდეგ ბანკეტი და გამარჯვების სადღეგრძელოების თქმა იქნებოდა. ეს მარაზმია, ეს უბედურებაა. 26 მაისს ხალხი დაიღუპა. სატირალში ვინ იცინის? სატირალში იცინიან გიჟები. სატირალში ვინ მღერის? — გიჟები! რა ხდება, სატირალში შეიძლება სიმღერა და ტაშ-ფანდური? იმ დღეს სატირალი იყო საქართველოში, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ამ დრომდე დაკარგულად ითვლებიან. კარლო კოპალიანი ამბობს, რომ ვერ ეგუება ტერმინს „უგზო-უკვლოდ დაკარგული“.

— წამიკითხავს, დიდი სამამულო ომი როდესაც იყო, იქ დაიკარგა ხალხი უგზო-უკვლოდ. რა, სამამულო ომში ვართ? რას ნიშნავს უგზო-უკვლოდ დაკარგული? პასუხისმგებლობა სად არის თუნდაც სამართალდამცავი ორგანოების. როგორ შეიძლება დღეს ადამიანი დაიკარგოს და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩათვალო? თუნდაც ადამიანი ციხეში იყოს, უთხარით ახლობლებს, რომ დაკავებულია. უფრო მეტიც, საავადმყოფოებმა დაზიანებულების სიები არ გამოაკრეს, ვინც მკურნალობს იქ. ეს საგამოძიებო ორგანო ხომ არ არის, საავადმყოფოა. ომის დროს, საავადმყოფოები სიებს აკრავდნენ, თუ არ ვცდები, გერმანელები დახვრეტილთა სიებსაც აკრავდნენ. საავადმყოფომ არ უნდა გამოაკრას, ვინ შევიდა ვინ მკურნალობს? ანუ იმ ღამით საავადმყოფოც ჩაკეტილ ციხედ იქცა, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

ბრიფინგის ბოლოს კოპალიანმა პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. დეპუტატი ასევე მოითხოვს, რომ პარლამენტმა 26 მაისს მომხდარ ფაქტს შეფასება მისცეს.

— მოდით, ჩემო კოლეგებო, გვეყო დუმილი და პარლამენტმა თავად შეაფასოს აღნიშნული ფაქტი. პარლამენტი ხომ ხალხის მიერ არჩეული კრებულია, ამიტომ აუცილებელია, რომ პარლამენტმა აღნიშნულ მოვლენას შეფასება მისცეს. თუ დასაგმობია და დასაგმობი ბევრი რამ არის, დაგმოს. ვთვლი, რომ უნდა შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელშიც შევლენ როგორც დეპუტატები, ასევე მიუმხრობელი, დამოუკიდებელი ექსპერტები, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა.

დეპუტატი მოითხოვს, რომ საგამოძიებო კომისიამ ობიექტური შეფასება დადოს, რათა მომავალში მსგავსი რამ ვერავინ ვერ გაბედოს.

— ძალიან კარგი იქნება თუ ის პარტიები იაქტიურებენ, რომლებიც ამ პროცესების მიღმა იყვნენ და თავიანთი მიმართულება გააჩნიათ ხელისუფლებასთან ურთიერთობის. კარგი იქნება თუ ისინი იაქტიურებენ, რადგან ამ მოვლენების შემდეგ შესაძლოა მათაც გაუჩნდათ კანონიერი ეჭვი, რომ ასეთ ხალხთან შესაძლოა მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდეს, — აღნიშნა კოპალიანმა.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს კოპალიანი დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დასვამს.

პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა თითქმის მიუღწევადია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კომისიის შექმნას უმრავლესობის წევრები მხარს არ უჭერენ, წინასწარ შეიძლება თქმა, რომ საგამოძიებო კომისია ამ პარლამენტში არ შეიქმნება.

## ნონა გაფრინდაშვილი: „სახალხო კრება“ ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე გააგრძელებს



წარმომადგენლობითი „სახალხო კრების“ თავმჯდომარის ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, 26 მაისს სახალხო კრებამ„ უდიდესი დარტყმა მიიღო, მაგრამ ამ დარტყმამ ვერ წააქცია.

როგორც ნონა გაფრინდაშვილმა გუშინ „სახალხო კრების“ ოფისთან აღმასრულებელი საბჭოს სახელით მედიას განაცხადა, „სახალხო კრება“ აგრძელებს ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის, ბრძოლას სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, ბრძოლას იმ დემოკრატიული ფასეულობებისათვის, რომელსაც შეუპოვრად იცავდა 26 მაისს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ დილის 00.15 საათზე რამდენიმე ათასი ქართველი გმირი“.

— ეს არის ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე, — განაცხადა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ ამ ბრძოლის გაგრძელების რესურსებსა და მეთოდებზე მას ამ ეტაპზე საუბარი გაუჭირდება.

— თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს არ შერჩება ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულები და რეჟიმის წარმომადგენლები პასუხს აგებენ დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე, — განაცხადა გაფრინდაშვილმა.

„სახალხო კრების“ თავმჯდომარის თქმით, სააკაშვილის ხელისუფლებამ მასობრივი უკანონო დაპატიმრებები ჯერ კიდევ 21 მაისამდე დაიწყო.

— ქვეყანაში მიმდინარეობს უკანონო დაპატიმრებები. სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიანი აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს არა მარტო დაკავებისას, არამედ მოგვიანებით წინასწარი დაკავების იზოლატორებში. სადამსჯელო სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო მასობრივი რესპრესიების ახალი ტალღა განსხვავებული აზრის მქონე პირთა მიმართ. ოჯახებიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პოლიციის განყოფილებაში მიჰყავთ 26 მაისის დილას სადამსჯელო ოპერაციის გატარების დროს დაკავებული და გათავისუფლებული ადამიანები, ასევე მათი ოჯახის წევრები, — განაცხადა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლებამ უკვე ბადრი ბიწაძის პოლიტიკური დევნაც კი დაიწყო შეთითხნილი ბრალდებით მისი დაპატიმრების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრები მათ მიერ 21 მაისიდან 26 მაისამდე წარმოებულ საპროტესტო აქციებში ბადრი ბიწაძის რაიმე ფორმით მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფენ. ისინი აცხადებენ, რომ ბადრი ბიწაძის პერსონას არავითარი გავლენა არ ჰქონია არც ე.წ. შეფიცულებზე, რომელსაც მსახიობი გია ბურჯანაძე ხელმძღვანელობს.

— ბადრი ბიწაძე „სახალხო კრების“ ერთი რიგითი გულშემატკივარია. თუ მას აკავებენ, იგივე ლოგიკით „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრი უნდა დააკავონ, — განაცხადა სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ელიზბარ ჯაველიძემ.

„სახალხო კრების“ ლიდერების თქმით, ორგანიზაციის ოფისი სამართალდამცველების მიერ ამ დრომდე დალუქულია და მათ სახალხო კრების ოფისში შესვლის საშუალება არ ეძლევათ.

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრების თქმით, ოფისის დალუქვის მიზეზი მათთვის სამართალდამცველებს ამ დრომდე არ განუმარტავთ.

მედიანიუსი

## ყინწვისში შეიარაღებული დაჯგუფება დააკავეს

2011 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ყინწვისში დააკავეს შეიარაღებული დაჯგუფება 24 კაცის შემადგენლობით. როგორც დაკავებულების ჩვენებებიდან ირკვევა, მათ ხელმძღვანელობდა საქართველოს შს ყოფილი მინისტრი და ასევე მხედრიონის ერთერთი ლიდერი თემურ ხაჩიშვილი, რომელიც ამ დროისთვის იმყოფება რუსეთის ფედერაციაში. ამ ჯგუფის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობა.

შს სამინისტრომ გუშინ მედიას წარუდგინა მტკიცებულების ერთ ნაწილი,

კერძოდ დაკავებულ პირთა აღიარება და სატელეფონო საუბრები.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ოქრუაშვილი საქართველოს ჩეჩენი „ბოევიკების“ მფარველობაში ადანაშაულებს

თეა მარხვაი ე

**ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ან თავად გადაეყრება შარს ანდა საქართველოს გადაჰყრის რაიმე უბედურებას. მოგეხსენებათ, რომ რუსეთი ცდილობს მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ საქართველოში ირწევა ტერორიზმის აკვანი, რასაც ჩვენი ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს.**



რუსეთის სპეცსამსახურები კი თვეში ერთხელ, როგორც წესი, ჩვენი ტერორისტული მისწრაფებების შესახებ ახალ-ახალ ინფორმაციებს ავრცელებენ. მათი ვერსიით, კავკასიაში ტერორისტი არც დარჩა, რომელსაც ქართული ჰაერი და წყალი არა აქვს ჩაყლაპული.

აქამდე ტერორისტების საბუდრად პანკისის ხეობას ასახელებდნენ. ახლა წილში თუშეთიც გაიყვანეს. რუსული მედია ამტკიცებს, რომ სწორედ აქ აფარებს თავს ჩეჩენ მეამბოხეთა ლიდერი დოკუ უმაროვი.

მისი თავი ამერიკულმა მხარემ 5 მილიონ დოლარად შეაფასა. ამ თანხას მიიღებს ის ადამიანი, რომელიც უმაროვის ადგილსამყოფელს დაასახელებს. ეს განცხადება ობამასა და მედვედევის შეხვედრის დროს გაკეთდა.

რამდენიმე დღეში კი ამერიკელების დაწესებულ თანხას რუსებმაც დაამატეს თავისი წილი. მოსკოვიც 5 მილიონს აწესებს უმაროვის ადგილსამყოფელის დასახელებისთვის.

მოკლედ, ეს ადამიანი ათ მილიონად არის შეფასებული. „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ მტკიცებით, ის სოფელ ომალოში იმალება. ეს სოფელი ფილმ „მიმინოშიც“ ჩანსო, დასძენს გამოცემა.

ამის წყალობით შესაძლოა წელს თუშეთში ბევრი ტურისტი ჩავიდეს. თან ულამაზეს ადგილებს დაათვალიერებენ და ვინ იცის, ეგებ სადმე უმაროვიც შენიშნონ.

ამ თემაზე ცოტა ხანში შეიძლება სახუმაროდ აღარ გვქონდეს საქმე. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ოქრუაშვილმა დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოევიკებს მფარველობს.

ამის შესახებ ირაკლი ოქრუაშვილმა ანტონ ვერნიცკის დოკუმენტურ ფილმში „კავკასია 2 მეტასტაზები“ ისაუბრა.

მისი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ შეუქმნა გადასასვლელი დერეფანი აჩიმეზ გოჩიაევს. ყოფილი მინისტრი ამბობს, რომ ბოევიკებისთვის დერეფნის შექმნაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობდა. თურმე თავად ოქრუაშვილი ყოფილა იმის თვითმხილველი, როგორ მისცა საქართველომ ბოევიკებს უფლება დაღესტნიდან თურქეთში გადასულიყვნენ.

იმავე ფილმში ნაჩვენებია დოკუ უმაროვის ნოუთბუქიდან ამოღებული მასალები, რომლითაც, როგორც რუსები ამბობენ, მტკიცდება, რომ უმაროვი საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა.

რუსეთი უკვე დიდი ხანია ცდილობს საქართველო ბოევიკების მფარველობაში დაადანაშაულოს. ამის თაობაზე ბევრმა რუსმა მაღალჩინოსანმა გააკეთა განცხადება. რუსები ამბობენ, რომ საქართველოს მამხილებელი დოკუმენტებიც აქვთ. თუმცა ჯერჯერობით ეს მტკიცებულებები არ ჩანს.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მან უკვე რამდენჯერმე დასდო საქართველოს ბრალი ჩეჩენი ბოევიკების მფარველობაში. რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში მან ადრეც განაცხადა, რომ ჩეჩენი მებრძოლების მომზადება საქართველოში არსებულ სამხედრო ბაზებზე ხდებოდა.

ექსპერტები დიდი ხანია ვარაუდობენ, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახალი პროვოკაციის მოწყობას გეგმავს. ისინი არ გამორიცხავენ, რომ მოსკოვმა საქართველოში ამჯერად „ანტიტერორისტული“ ოპერაცია ჩაატაროს.

მოგეხსენებათ, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ახლა ძალიან მოდაშია. ამერიკა ანტიტერორისტულ ოპერაციას სხვადასხვა ქვეყნებში ატარებს და ამდენად, არც ისინი დაუგმობენ რუსებს საქართველოს ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას. მით უმეტეს ახლა, როცა რუსეთი და ამერიკა გადატვირთვით არიან დაკავებული.

რუსეთი ყველაფერზე წამსვლელი კი არის, მაგრამ მთლად მოუმზადებლად საქართველოში ვერ შემოიჭრება. მან ჯერ მსოფლიო უნდა დაარწმუნოს, რომ საქართველო ტერორიზმის საბუდარია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსი ჩინოსნები ასე დაჟინებით არ დაიწყებდნენ მტკიცებას, რომ საქართველო ტერორისტებს მფარველობს. თანაც უბრალო ტერორისტებს კი არა, ისეთებს, რომლებზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

ასეთია დოკუ უმაროვი, რომლის ადგილსამყოფელის დასახელებაში ამერიკა 5 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს.

ასევე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული აჩიმეზ გოჩიაევზეც, რომელზეც ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობს.

რუსებს აჩიმეზ გოჩიაევის მიმართ სერიოზული ანგარიშები აქვს გასასწორებელი. რუსული სპეცსამსახურების მტკიცებით, სწორედ მის სინდისზეა 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში განხორციელებული ტერაქტები.

აჩიმეზ გოჩიაევი სხვა ცნობილ ბოევიკებთან შედარებით ახალგაზრდაა. ის 1970 წლის 28 სექტემბერს ყარაჩაი-ჩერქეზეთში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ ყარაჩაი-ჩერქეზეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. 2 კურსის დასრულების შემდეგ მან სწავლა მიატოვა.

1990 წელს ის არმიაში წავიდა. სავალდებულო სამსახურის ვადის ამოწურვამდე სამი თვე იყო დარჩენილი, როცა ის სამხედრო ნაწილიდან გაიქცა.

ის დღეს ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთავარი ვაჰაბიტია. გოჩიაევის გავაჰაბიტება, როგორც ირკვევა, მისი ცოლეურების ბრალია. მისი მეუღლე მადინა აბაევა გახლავთ. როგორც რუსული წყაროები იუწყებიან, აბაევას ოჯახი ცნობილი იყო, როგორც რადიკალური ისლამისტები. სწორედ მათი წყალობით დაუახლოვდა გოჩიაევი ვაჰაბიტებს.

რუსული წყაროების მტკიცებით, გოჩიაევი ბენ ლადენის მარჯვენა ხელის აბუ ხავსის მიერ დაარსებულ საწვრთნელ ბანაკებში ემზადებოდა. სპეცსამსახურების ცნობით, ეს ბანაკი სოფელ სერჟენ-იურტთან იყო განლაგებული.

თავად აბუ ხავსი იმითაც არის საინტერესო, რომ რუსების მტკიცებით, ის ბენ ლადენის დავალებით თურმე საქართველოში გადასულა საცხოვრებლად და თურმე ახმეტის რაიონის სოფელ წინუბანში ცხოვრობდა.

რუსები საქართველოსა და ბოევიკების კავშირზე ალბათ კიდევ ბევრ განცხადებას გააკეთებენ. ამ ლაპარაკით მართალია მათ ნისკარტი არ გაუცვდებათ, მაგრამ ცუდი ის არის, რომ რუსები ამდენს ტყუილად არ ლაპარაკობენ ხოლმე.

ჩვენი ხელისუფლება ამ ბრალდებებზე მართალია კაიფობს, მაგრამ საქმე ასე მარტივად ნამდვილად არ არის. არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთმა ჩვენთან რაიმე ღონისძიება ჩაატაროს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი რამე არ მოხდება და თუ მოხდა, იმედია ჩვენი სპეცრაზმელები რუს კოლეგებს ისევე გაუსწორდებიან, როგორც 26 მაისს მშვიდობიან მომიტინგეებს გაუსწორდნენ.

# რატომ არ აკავებენ ბადრი ბიწაძეს?

ნანა მიშელაშვილი

**26 მაისს მომხდარ მოვლენებზე გუშინ პარლამენტის ბიუროზე დაიწყო კამათი და დღეს პარლამენტის სხდომაზე გაგრძელდება. ბიუროს სხდომაზე ამ საკითხზე შეფასებები მას შემდეგ გაკეთდა, რაც ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა.**




ცაგარეიშვილმა ბიუროს სხდომაზე დისონანსი შეიტანა, რადგან 26 მაისის მოვლენების პოლიტიკური შეფასება დაიწყო. ცაგარეიშვილს უმრავლესობის ლიდერებმა უპასუხეს. ალასანიას პარტიის წევრი ბიუროზე უმცირესობაში აღმოჩნდა. მისი პოზიცია არავის გაუზიარებია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გოკა გაბაშვილის განცხადებით, ოპოზიციას, რომელიც აქციებში არ მონაწილეობდა, მეტი აქტიურობა 26 მაისამდე უნდა გამოეჩინა. ეს განცხადება გაბაშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ცაგარეიშვილმა 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს ტრაგედია უწოდა, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ლევან ვეფხვაძემ ხელისუფლების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე ისაუბრა.

საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს ირაკლი ალასანიას მიერ სიტუაციით სპეკულირებად მიაჩნია. გივი თარგამაძის თქმით, თუ აქციის დაშლისას გადაცდომებს ჰქონდა ადგილი, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია იყო, რომ ეს შიდა მოკვლევით დადგენილიყო. მისივე თქმით, რეკომენდაციების მიუხედავად, ასეთი მოკვლევა ისედაც მიმდინარეობს.

— არის ლაპარაკი მასობრივ დასახიჩრებულებსა და დაკავებულებზე. თუ ასეთი ადამიანები არსებობენ, მათ ხელს არაფერი უშლით, რომ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ ან დამოუკიდებელი ექსპერტები აიყვანონ. როცა დაკავებულებზეა საუბარი, მათთან წითელი ჯვარი შედის და ნახულობს, ამ ორგანიზაციას კი ყველა ენდობა. გარდა ამისა, არსებობს ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც მოკვლევით არის დაკავებული, — აცხადებს თარგამაძე და საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის დაყენებას სიტუაციით სპეკულირების მცდელობად და თითიდან გამოწოვილად აფასებს.

— გაუბრალოებული ენით რომ გითხრათ, უნდათ თქვან, რომ ყველა ცუდია და მარტო ალასანიას პოლიტიკური ძალაა კარგი, — თქვა გივი თარგამაძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

რატომ არ გამოქვეყნდა აქციის ორგანიზატორების შესახებ ვიდეო თუ სატელეფონო მასალები 26 მაისის აქციის დაშლამდე?

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე 21-26 მაისის აქციის ორგანიზატორების რუსეთთან თანამშრომლობაზე მასალების აქციის დაშლის შემდეგ გამოქვეყნებას სრულყოფილი გამოძიებით ხსნის.

გივი თარგამაძის თქმით, ბევრად უფრო სასარგებლოა თოთოეული ფაქტი თავიდან ბოლომდე იყოს გამოძიებული და ნათელი გახდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობა.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველივე ფაქტის ხელში ჩაგდების შემდეგ მისი დაანონსებისას მუდმივად გვექნება ასეთი კერები ქვეყანაში. ასეთი კერები კი უნდა იყოს დამუშავებული, გამოვლენილი და დასჯილი, — აღნიშნა თარგამაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

რაც შეეხება ბადრი ბიწაძეს, რატომ არ აკავებენ ბადრი ბიწაძეს და ხომ არ დატოვა მან საქართველო? ჟურნალისტის მიერ დასმულ ამ შეკითხვებზე გივი თარგამაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე პროკურატურა ბიწაძესთან დაკავშირებით შუამდგომლობს გირაოზე და შესაბამისად, დაკავება არ არის აუცილებელი. თუმცა, თარგამაძის თქმით, გასაკვირი არ იქნება, რომ მას საქართველოს ტერიტორია უკვე ჰქონდეს დატოვებული, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა ირაკლი ოქრუაშვილმა.

კომენტარი ყინწვისში მომხარ ფაქტზეც გაკეთდა. გივი თარგამაძის თქმით, ტელევიზიით ქრონოლოგიურად გამოქვეყნებული სამართალდამცველების მიერ მოპოვებული მასალებიდან გამომდინარე, არ უნდა არსებობდეს ბევრი კითხვა, თუ რატომ არის დაკავებული ეს 24 ადამიანი და თუ რატომ წაეყენა ბრალდება ბადრი ბიწაძეს. მისი თქმით, კვალიფიკაციის მინიჭება პროკურატურის საქმეა, თუმცა, თავადაც სრულად იზიარებს ამ კვალიფიკაციას.

— ასეთი მოქმედებები უნდა ისჯებოდეს. დაუსჯელობა მიიყვანს მეტ ზარალს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. იმედი მაქვს, რომ პროკურატურა და სასამართლო საქმეს ბოლომდე მიიყვანს, — აღნიშნა თარგამაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ყინწვისში 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა შეიარაღებული დაჯგუფება დააკავეს 24 კაცის შემადგენლობით. დაკავებულების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ ხელმძღვანელობდა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერი თემურ ხაჩიშვილი, რომელიც ამ დროისათვის რუსეთის ფედერაციაში იმყოფება. ამ ჯგუფის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც გივი თარგამაძემ კომენტარი გააკეთა, ირაკლი ოქრუაშვილს შეეხება. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს ირაკლი ოქრუაშვილის მიერ რუსეთის პირველი არხისთვის მიცემული ინტერვიუს შინაარსზე კომენტარი საჭიროდ არ მიაჩნია.

— ნამდვილად არ მგონია, რომ ამ ფაქტს რაიმე კომენტარი სჭირდებოდეს, — განაცხადა თარგამაძემ და დასძინა, რომ ადამიანი, რომელიც რუსულ სახელმწიფო არხებთან მჭიდროდ თანამშრომლობს და ცდილობს მათი სპეცსამსახურებისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს, ეს ფაქტი უკვე თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე.

რუსეთის პირველმა არხმა მოამზადა ფილმი სახელწოდებით — „ვინ მანიპულირებს ბოევიკებით და ვინ აძლევს მათ ფულს“. ფილმში ერთ-ერთი რესპონდენტია საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელთანაც ინტერვიუ პარიზშია ჩაწერილი. ფილმის ავტორების თქმით, ოქრუაშვილი ადასტურებს, რომ აჩიმეზ გოჩიაევს, რომელიც 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგადონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორი იყო, ქართველებმა არაერთხელ მისცეს კორიდორი. ოქრუაშვილის თქმით, ამის მომსწრე თავად არის, ამ საკითხების გადაწყვეტით დაკავებული იყო შს სამინისტრო, საქმის კურსში იყო სააკაშვილიც.

## შს სამინისტრო 26 მაისთან დაკავშირებით არც ერთ მოქალაქეს დაკარგულად არ განიხილავს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 26 მაისის აქციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა.

შინაგან საქმეთა სამინისტორს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად: „მას შემდეგ რაც შსს-მ მოუწოდა ყველა დაინტერესებულ პირს, მიეწოდებინა ინფორმაცია 26 მაისის არასანქცირებული მიტინგის დაშლის დროს დაკარგული მოქალაქეების შესახებ, დღემდე სამინისტროს სახელზე არც ერთი განცხადება არ შემოსულა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ არც ერთ მოქალაქეს დაკარგულად არ განიხილავს, — ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ჩვენ ხალხს მსხვერპლზე არ წავიყვანთ

ნონა ცაბაძე

## 26 მაისის სისასტიკისთვის ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს

**სახალხო პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი ხელისუფლებას ნიკა კვინტრაძის მკვლელობაში ადანაშაულებს. გუშინ ოპოზიციური რვიანი დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა, სადაც 26 მაისს მომხდარი ფაქტები განიხილეს. აღნიშნული განცხადება კობა დავითაშვილმა კი შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა. ასევე კობა დავითაშვილის თქმით, 26 მაისს იყო არა დაშლის მცდელობა, არამედ ალყის შემორტყმის და ანგარიშსწორების ოპერაცია. კობა დავითაშვილის განცხადებით, უამრავი ფაქტი არსებობს, რომ ამ ადამიანებს სცემეს და ისინი აწამეს დაკავების შემდეგ.**



— იგივე ნიკა კვინტრაძე მოკლულია დაკავების შემდეგ. ჩვენ დიპლომატიურ კორპუსს წარვუდგინეთ ფოტომასალა, სადაც ის ხელფეხშეკრული წევს და ცოცხალია. ამის შემდეგ კი მის გვამს აგდებენ მაღაზიის სახურავზე. ეს არის მკვლელობა და მკვლელობის ჩამდენი უნდა დაისაჯოს, — აცხადებს დავითაშვილი. დავითაშვილს მიაჩნია, რომ საპარლამენტო კომისია არის ერთადერთი ფორმატი, რომელსაც საგამოძიებო მოქმედების შესრულება შეუძლია.

—ის იქნება უფლებამოსილი გამოძიება ჩაატაროს, რადგან ამ მკვლელობებში ეჭვმიტანილნი არიან ხელისუფლების მაღალჩინოსნები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ან პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება ობიექტური ვერ იქნება.

„ახალი თაობა“ **კობა დავითაშვილთან** ინტერვიუს გთავაზობთ:

***— ბატონო კობა, ოპოზიციურ რვიანს დიპლომატიურ კორპუსთან გქონდათ შეხვედრა, ძირითადად რა იყო საუბრის თემა?***

— ჩვენი მთავარი დღის წესრიგია იმ სასტიკი ანგარიშსწორებისთვის დამნაშავეთა დასჯა, რომელიც ხალხს მოუწყვეს 26 მაისს. ჩვენ ვიდეო და დოკუმენტური მასალა გადავეცით ელჩებს. განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება, რომ ეს იყო არა აქციის დაშლა, არამედ ეს იყო ანგარიშსწორება. გარდა ამისა, დაკავების შემდეგ გაგრძელდა დაკავებული პირების ცემა-წამება. იგივე მურმან დუმბაძის მაგალითია ძალიან ნათელი და რაც მთავარია, ნიკა კვინტრაძე, რომლის ცხედარიც ვითომ შემდეგ ალმოაჩინეს, ჩვენ მოვიპოვეთ ფოტომასალა, როდესაც ის დაკავებულია, ხელ-ფეხშეკრული წევს რუსთაველზე ცოცხალი და შემდეგ უცებ მისი გვამის ალმოჩენა ხდება. ანუ არსებობს სერიოზული ეჭვი იმისა, რომ ის მოკლულია დაკავების შემდეგ და ეს არის მკვლელობა.

***— თუმცა ხელისუფლება მხოლოდ ერთი პოლიციელის გარდაცვალებაზე ამახვილებს ყურადღებას... რა თქმა უნდა, ესეც სამწუხარო ფაქტია, მაგრამ იმ დღეს სხვებიც დაიღუპნენ...***

— ჩვენ თანაგრძნობა გამოვუცხადეთ მათ შორის პოლიციელის ოჯახს და არ ვყოფთ ჩვენ მსხვერპლს, მაგრამ პოლიტიკური მკვლელობის გამოძიების მოთხოვნა დღეს უპირველესია.

***— როგორი იყო ელჩების პოზიცია ამ ყველაფერზე?***

— მათი პასუხი იყო, რომ ისინი დაინტერესდებიან ამ საქმით და აუცილებლად ჩაერთვებიან.

***— რაც შეეხება თვითონ 26 მაისის დარბევას, ბევრს საუბრობენ, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია და სახალხო კრების ლიდერებმა ხალხი ამაზე შეგნებულად წაიყვანეს, თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— პროვოკაციის შეფასებას ვეთანხმები, მაგრამ მე ვხედავ ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციას. ხელისუფლება, რომელიც გვეუბნება და აქვეყნებს ერთი თვის წინანდელ ჩანაწერებს და შემდეგ გვაჩვენებს თან, რომ უამრავი ხალხი ჰყავდა ჩანერგილი სახალხო კრების რიგებში, ბუნებრივია, რომ თვითონ გამოდის პროვოკატორი. გარდა ამისა, არჩევნების გაყალბებით, მკვლელების დაუსჯელობით, მე გვირგვლიანის, რობაქიძის და სხვათა მკვლელობებს ვგულისხმობ. ასევე ის, რომ არ არის გამოძიებული 7 ნოემბრის მოვლენების დროს ხელისუფლების დანაშაული. ხელისუფლებამ ფაქტობრივად მოახდინა პროვოცირება, ჩაშალა მოლაპარაკებები საარჩევნო კოდექსის თაობაზე, რითაც მან პროვოცირება მოახდინა ქუჩის პროტესტისა. ასე რომ, პროვოკატორი ხელისუფლებაა და არა ხალხი.

***— შესაძლებელი იყო ამ ყველაფრის თავიდან აცილება?***

— თუ ხელისუფლებას ექნებოდა ნება, თუ ხელისუფლების სურვილი არ იქნებოდა სწორედ სისხლიანი ანგარიშსწორება საკუთარ ხალხთან, ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა. ეს იყო ანგარიშსწორება და სადამსჯელო ოპერაცია.

***— დაკავებები კვლავაც გრძელდება, ბრალი წაუყენეს ბადრი ბიწაძესაც. როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება დაჭერები?***

— მე პროგნოზების გაკეთებისგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება რიგითი დაკავებულების უფლებებს, ჩვენ ვიცავდით და კვლავაც დავიცავთ.

***— სულ იყო საუბარი იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა საერთაშორისო მხარდაჭერა და ის მსგავს ქმედებას ვეღარ გაბედავდა, თუმცა უარესი გააკეთა...***

— ჩვენ ვაფრთხილებდით აქციის ორგანიზატორებს, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე ჩატარებული აქცია, რომელსაც წინ უძღვოდა ისეთი ქმედებები და განცხადებები, რომელიც მათ საერთაშორისო მხარდაჭერას ვერ მოუპოვებდა, შესაძლოა გამხდარიყო სწორედ ასეთი შედეგის მომტანი. სამწუხაროდ, ჩვენი გაფრთხილება მათ ყურად არ იღეს.

***— ბატონო კობა, დღეს თქვენსკენაც ხდება თითის გამოშვერა, ადანაშაულებენ დანარჩენ ოპოზიციურ ლიდერებს, რუსთაველზე რომ ყოფილიყო მეტი ხალხი, ეს არ მოხდებოდაო, ამაზე რას ფიქრობთ?***

— იქნებოდა უფრო მეტი მსხვერპლი. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც მსხვერპლზე და სისხლზე არ მიგვყავს ხალხი. ჩვენ მიგვყავს ხალხი გამარჯვებისკენ, მშვიდობიანი გზით, უმსხვერპლოდ და უსისხლოდ და ეს არის ჩვენი ბრძოლის გზა. ამიტომ ჩვენ მსხვერპლის რიცხვის გაზრდას ნამდვილად ვერ შევუწყობდით ხელს.

***— რვიანი საუბრობს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე, რამდენად დადგება ეს საკითხი?***

— აუცილებლად დადგება. სხვათა შორის, 7 ნოემბერს ოპოზიციამ ერთი შეცდომა დაუშვა, როდესაც პასუხისმგებლობის საკითხს ბოლომდე არ ჩაეძია. დღესაც ისმის, ხომ მაინც არ გამოიძიებენ, ხომ მაინც არ შექმნიან. ის რომ რაღაცას არ გააკეთებენ, არ არის საფუძველი იმისა, რომ შენ თვითონ ეს არ მოითხოვო. ეს მოთხოვნა არ უნდა შეწყდეს, სანამ არ მივაღწევთ შედეგს. ეს მოთხოვნა ძალიან სერიოზულ დარტყმას აყენებს ხელისუფლებას და დარტყმების მიყენება არ უნდა შეჩერდეს.

***— როგორ ფიქრობთ, გამოიღებს ეს შედეგს და თუ ჩაერევა ამაში აქტიურად საერთაშორისო თანამეგობრობა?***

— რა თქმა უნდა, ჩვენი ამოცანა არის იმ საერთაშორისო მხარდაჭერის გამტკიცება, რომელიც გარკვეულწილად შეირყა. ჩვენ თვეების განმავლობაში ვმუშაობდით და ჩვენი ერთობით მივაღწიეთ საერთაშორისო მხარდაჭერას. შემდეგ ქუჩაში ამ პროცესების რადიკალიზაციამ, ეს საერთაშორისო მხარდაჭერა შეარყია და თითქოს და ხელისუფლების მხარდამჭერი განცხადებებიც კი გაკეთდა. ჩვენი ამოცანა კვლავ სიტუაციის შემობრუნებაა.

***— რვიანს მაისის ბოლომდე ჰქონდა ხელისუფლებისთვის ვადა მიცემული, ხვალ ეს ვადა იწურება, რას აპირებს ამის შემდეგ რვიანი?***

— ვადა როცა ამოიწურება, შემდეგ მოგახსენებთ. ამაზე წინასწარ არ ვისაუბრებ.

***— სააკაშვილი პირსისხლიან ლიდერად შეფასდა, თქვენი აზრით, ასეთი ლიდერი არის რაიმე დათმობაზე წამომსვლელი თუნდაც საარჩევნო კუთხით?***

— და ასეთი ლიდერი არის გადამდგომი თუნდაც სახალხო აქციების გზით?! მე ამ შეკითხვას შევუბრუნებ შეკითხვის ავტორებს.

***— საუბარია, რომ ძალიან ბევრი ადამიანია დაკავებული, აქციები იმართება მათი გათავისუფლების მოთხოვნით. ამაზე მაინც თუ არის წამომსვლელი ხელისუფლება?***

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის და ჩავრთავთ საერთაშორისო საზოგადოებას და არ გავაკეთებთ ისეთ განცხადებას, რომელიც სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს და საერთაშორისო საზოგადოებას ჩვენი მოკავშირის ნაცვლად, მის მოკავშირედ აქცევს.

***— რას გულისხმობთ, რომ ასეთ განცხადებებს სახალხო კრების ლიდერები აკეთებდნენ?***

— მე არაფერს არ ვგულისხმობ, მე რაც ვთქვი, იმას ვგულისხმობ.

# ნინო ბურჯანაძე გირაოს გადახდას არ აპირებს



„სახალხო კრების“ აქციების ერთ-ერთი ლიდერი, ნინო ბურჯანაძე, მისი მეუღლის, ბადრი ბიწაძისთვის გირაოს გადახდას არ აპირებს. „რით ვერ გაიგო ხელისუფლებამ, რომ ჩვენ არც გამოძიებასთან თანამშრომლობას და არც გირაოს გადახდას არ ვაპირებთ“ — განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ.

მან ბიწაძის ადგილსამყოფელი არ დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ მის მეუღლეს ტელეფონი დღეს საღამოს უნდა ჩაერთო და შეიძლება პროკურატურის ახალი ინფორმაციის შესახებ არაფერი იცის.

— ერთადერთი რაც ბიწაძემ წინა დღეებში მითხრა, ისაა, რომ ის შეუიარაღებელია და თუ შსს რაიმე სპეცოპერაციას ჩაატარებს მის წინააღმდეგ, არანაირ წინააღმდეგობას არ გაუწევს. შესაბამისად, ყველანაირი განცხადება, რომ სპეცოპერაციის დროს ბიწაძემ სამართალდამცავებს გაუწია წინააღმდეგობა იქნება ტყუილი და თუ ბადრი ბიწაძეს რაიმე დაემართება, ე.ი. ის მოკლეს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მთავარმა პროკურატურამ 30 მაისს, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი და ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე ბრალდებულად ცნო წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმების ორგანიზებაში„ და სასამართლოს მის მიმართ გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა.

სისხლის სამართლის კოდექსის 353 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული აღნიშნული დანაშაული ისჯება ტუსაღობით ოთხიდან ექვს თვემდე ან თავისუფლების შვიდ წლამდე ვადით აღკვეთით.

27 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ფარული ვიდეო ჩანაწერები, სადაც ერთ ერთ ეპიზოდში ფიგურირებს ბადრი ბიწაძე და საუბარია სახალხო კრების

„შეფიცულთა“ ჯგუფების სამზადისზე 21 მაისის საპროტესტო აქციების წინ. სახალხო კრებამ “შეფიცულთა„ ჯგუფები რამდენიმე თვის წინ ჩამოაყალიბა,

ხელისუფლების უკანონობისა და ძალადობისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით„. 27 მაისს შსს მ ასევე გამოაქვეყნა, „შეფიცულთა“ ერთ ერთი მეთაურის გია უჩავას აღიარებითი ვიდეო ჩვენება, სადაც ის სახალხო კრების ძალადობრივ გეგმებზე საუბრობს და ამ პროცესის ხელმძღვანელად ბადრი ბიწაძეს ასახელებს. უჩავა პოლიციამ 22 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ მიმდინარე აქციაზე დააკავა.

პრაიმ-ნიუსი

# აქციების დარბევისას 4 ადამიანი დაიღუპა

ნანა მიშელაშვილი

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი საპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდებს მხარი დაუჭიროს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც 26 მაისს მომხდარ ფაქტს შეისწავლის.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ არ ენდობიან ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, მურთაზ ზოდელავას და ამდენად, პარლამენტში დროებითი საგამოძოებო კომისიის შექმნას მოითხოვენ.

— „თავისუფალი დემოკრატები“ მოვითხოვთ საგამოძოებო კომისიის შექმნას, რომელიც იმ კატასტროფას გამოიძიებს, რაც პარლამეტის ფანჯრების წინ 26 მაისს მოხდა. 4 თანამოქალაქეა დაღუპული, უამრავი შეურაცხყოფილი და დაზარალებულია, ნაცემია ჟურნალისტები. რუსთაველის გამზირზე სისხლიანი კალო ვიხილეთ, რომელიც დადგმულია ნაციონალური მოძრაობის მიერ არქიფო სეთურის — მიხელ სააკაშვილის უშუალო მითითებით, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ალასანიას პარტიის წევრმა იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიციურად განწყობილი ერთი საპარლამენტო ფრაქცია მხარს დაუჭერს პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას.

— მხედველობაში მყავს ქრისტიან-დემოკრატები, რადგან თორთლაძის ფრაქცია ისეა ოპოზიციურად განწყობილი, როგორც მე ჩინეთის იმპერატორი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატმა უკმაყოფილება იმის გამოც გამოთქვა, რომ პარლამენტის დღევანდელი ბიუროს სხდომა ისე მშვიდად მიმდინარეობდა, თითქოს ის შვეიცარიის კონფედერაციის, ნორვეგიისა და ისლანდიის პარლამენტები ყოფილიყო.

— ეს ჰგავდა იმ ქვეყნის პარლამენტის ბიუროს სხდომას, სადაც 4 ადამიანი დაიღუპა? ბიუროს წევრის ემოცია ნული იყო. ბიუროს წევრების ერთადერთი ემოცია იყო ჩემს ინიციატივაზე ირონია და დაცინვა, რასაც ნაცმოძრაობის წევრები ყველა უბედურების ჟამს მიმართავენ, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილით მიმართავს და 26 მაისს დაკავებული პირების მონახულებას მოითხოვს.



აღნიშნული განცხადება ცაგარეიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და დავით ბაქრაძის სახელზე დაწერილი განცხადება პარლამენტის კანცელარიას ჩააბარა.

ცაგარეიშვილი მოითხოვს, რომ მას შესაძლებლობა მიეცეს შევიდეს თბილისის ნომერ პირველ დროებითი მოთავსების იზოლატორში, თბილისის ნომერ მეორე დროებითი მოთავსების იზოლატორში და რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში და მოინახულოს 38 დაკავებული ადამიანი.

— რუსთავში დაკავებული ადამიანებიდან ზოგიერთი არის ნინო ბურჯაძის დაცვის წევრი. „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ მნიშვნელობა არა აქვს, ბურჯანაძის დაცვის წევრს აწამებენ თუ „თავისუფალ დემოკრატს“. ადამიანებს ამ უბედურების ჟამს არ ვასხვავებთ ერთმანეთისგან პოლიტიკური ნიშნით, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი ამბობს, რომ დაკავებულ პირებზე სადამსჯელო ღონისძიებები ხორციელდება, აიძულებენ ჩვენებები მისცენ იმაზე, რაც ბუნებაში არ ყოფილა.

— ეს არ არის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ეს არის შსს-ს დროებითი დაკავების იზოლატორები, სადაც ადამიანებს 9 პირ ტყავს აძრობენ, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

# სააკაშვილის და პუტინის დაპირისპირება თამაშია

ქეთი ხომერიკი

## ოპოზიციურ რვიანს ახალ პარლამენტში ადგილები გარანტირებული აქვს

რატომ დაშალა ხელისუფლებამ 26 მაისის აქცია უსასტიკესი მეთოდებით, რატომ არ აკავებენ ბურჯანაძე-ბიწაძეს, ვისგან იმართება სააკაშვილის ხელისუფლება, რატომ დატოვა გაჩეჩილაძემ „ქართული პარტია", რატომ უპრავებს „ოპოზიციური რვიანი" სააკაშვილს ხელისუფლებას, მოგვევლინება თუ არა სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად და რას აპირებს „წინააღმდეგობის მოძრაობა"? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" „წინააღმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს, სოსო მანჯავიძეს ექსკლუზიურად ესაუბრა.

**სოსო მანჯავიძე:**

— „წინააღმდეგობის მოძრაობა" როდესაც დაფუძნდა, ჩვენ ვთქვით, რომ ის ტიპი აქციებისა, რომელიც ადამიანს ბრძოლის პროცესში ზიანს მიაყენებს, მაქსიმალურად იქნება ჩვენ მიერ მინიმალიზებული, ანუ თავიდან აცილებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ავიღეთ ორიენტაცია ისეთი ტიპის ბრძოლაზე, რომელიც გულისხმობს, კონკრეტული სოციალური ჯგუფების ინტერესების გაჟღერებას, ამ ჯგუფების ორგანიზებას და ბრძოლას ამ ადამიანების უფლებების მოპოვებაზე. ერი, როგორც ასეთი, ერთიანი ორგანიზმი, ნაციონალებმა ფაქტობრივად სახსრებში დაშალეს და ჩვენი ამოცანაა, გავამთლიანოთ და სოლიდარობა გავაჩინოთ ხალხში. სოლიდარობა კი შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ სოლიდარობის ჯგუფების ორგანიზებით. ამ დღეებში ჩვენი მოძრაობის ხელმძღვანელი დავით თარხანმოურავი მიდის ევროპაში, სადაც ექნება უმაღლესი რანგის შეხვედრები და ეს ბრძოლის ერთი მიმართულებაა, ანუ ჩვენ, პარალელურად ვმუშაობთ საერთაშორისო საზოგადოებასთან. ქვეყნის შიგნით კი ვცდილობთ, რომ ორგანიზება გავუკეთოთ საპროტესტო მუხტს. ანუ ერთის მხრივ გასაგები იყოს დასავლეთისთვის ის, თუ რისთვის ვიბრძვით, მეორეს მხრივ, კი, ბრძოლა უნდა იყოს ისეთი, რომ მაქსიმალურად ვაიძულოთ ხელისუფლება, წავიდეს დათმობაზე. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ჩვენ, არ ვაპირებთ არარეალისტური, გაუთვლელი შეპირებებისა და მოქმედებების განხორციელებას. ჩვენ არ ვაპირებთ არავის დაღუპვას, აი, ეს უნდა გაიგოს და გაითავისოს ყველამ.

***— თქვენ აქციების დროს კოორდინირებულად მუშაობდით სახალხო კრებასთან, რას ფიქრობდნენ და გეგმავდნენ ისინი, ჰქონდათ თუ არა რეალურად კონკრეტული სამოქმედო გეგმა?***

— ჩვენ აქციის ორგანიზატორებს არაერთხელ შევხვდით და ვურჩიეთ მათ, რომ სხვანაირად ემოქმედათ, რადგან დავინახეთ, რომ 21 მაისის აქცია წავიდა იმ გზით, რა გზითაც წავიდა. მათი პასუხი კი იყო ის, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული გადამეტებული, არარეალისტური წარმოდგენები პოლიტიკურ პროცესზე. ეს იყო აბსოლუტურად არაადეკვატური წარმოდგენები, ისინი აშკარად ილუზიებში იყვნენ. რაც შეეხება, გეგმას, ხომ ჩანს, რომ არანაირი გეგმა არ ჰქონდათ. ახლა მე რომ ვთქვა, რომ მათ კონკრეტული გეგმა ჰქონდათ, თქვენ დამიჯერებთ? მე რომ ვამბობ, არარეალისტური წარმოდგენები ჰქონდათ-მეთქი, ეს ნიშნავს იმას, რომ თვითონ პროცესის დაგეგმვის პროცესში იყო შეცდომები დაშვებული და მე ამას გულისწუხილით ვამბობ და ვთვლი, რომ ის ხალხი, რომელიც იქ იდგა, იყო ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი. ეს ის ხალხი იყო, რომელმაც სიკვდილის შიში გადალახა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა 25 მაისს. ის ხალხი იქ თავისი ღირსების გამო იდგა და არა რომელიმე ლიდერის გამო.

***— ლიდერებს მეტი პასუხისმგებლობა არ უნდა გამოეჩინათ, მათაც იცოდნენ, რომ ხელისუფლება აქციას დაარბევდა, ეს არ უნდა აეცილებინათ თავიდან, არ შეიძლებოდა სხვაგან მოეწყოთ აქცია? ითქვა, რომ ბურჯანაძე შეგნებულად წავიდა ამ ნაბიჯზე...***

— რა მოიგო მერე ამით? ეს იყო ბურჯანაძის ხედვის, აზროვნების და მისი პიროვნების მოქმედების შედეგი, ანუ ის მოქმედებდა ისე, როგორც თვლიდა საჭიროდ და როგორც შეეძლო. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, ნებისმიერ აქციაზე პასუხისმგებელი არის აქციის ორგანიზატორი და ეს არის ორჯერ ორი — ოთხი. როგორც ჩანს, ახლა იწყება შეფასებების ნაკადი და მე, მაგალითად, არ მიხარია, რაც ხდება აქციის ორგანიზატორების თავს.

***— ხალხი დაშინებულია და თქვენი აზრით, გამოვა კიდევ ქუჩაში და გამოხატავს პროტესტს ღიად, რა გზით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება?***

— ხელისუფლება უნდა შეიცვალოს საერთო სახალხო პროტესტის ფონზე, ამ პროტესტის ორგანიზება უნდა მოხდეს. არიან ისეთებიც, რომლებიც იკვებებიან ხელისუფლების მიერ მართული ფინანსური ნაკადებით. აი, ეს არის საზოგადოების მთავარი პრობლემა. ვგულისხმობ ე.წ. კონსტრუქციულ ოპოზიციას, რომელიც სინამდვილეში დესტრუქციულია, რადგან ხელისუფლებაა თვითონ დესტრუქციული და შესაბამისად, ხელისუფლების მიერ მართული ძალაც დესტრუქციულია.

***— თქვენი აზრით, რატომ დაარბია აქცია ხელისუფლებამ ისე სასტიკად, რატომ მოექცა ასე დაუნდობლად საკუთარ ხალხს?***

— ეს იყო მიზანმიმართული ქმედება და გეტყვით, სქემა რა იყო აქ. სახალხო კრების შეფიცულები, როდესაც შეიქმნა ხელისუფლებამ, იქ პირველივე დღიდან თავისი აგენტურა ჩანერგა და ეს რომ ასე იყო, ნათლად გამოჩნდა კიდეც. ე.წ. პრეზიდენტის, სააკაშვილის მიზანი, მისი სადისტური ბუნებიდან გამომდინარე იყო ის, რომ მაქსიმალურად მეტი ადამიანი შეეტყუებინა პოლიტიკურ ხაფანგში, რომელიც შსს-ში ძალიან ოსტატურად დააგეს და შემდეგ ამ ხაფანგში შემოტყუებულ ადამიანებს მაქსიმალური სისასტიკით უნდა გასწორებოდა.

***— რატომ იმ ადამიანებზე, რომლებიც მას მხარს არ უჭერენ, ასე ვთქვათ, შური, რომ ეძია?***

— დიახ, მაგ მიზნით და ის არის ქართველთმოძულე ადამიანი და ეს ყველამ კარგად ვიცით. სააკაშვილის მიზანი იყო ის ქართველობა, რომელიც სრულიად სამართლიანად შეურიგებლად არის მის მიმართ და უყურებს მას, როგორც მტერს, მეც ასე ვუყურებ მას, შემოეტყუებინა პოლიტიკურ ხაფანგში, ასევე აქციის ორგანიზატორებიც და გასწორებოდა მათ. ადვილად გათვლადი იყო ის, რასაც გააკეთებდნენ ორგანიზატორები 25 მაისს, ჰოდა, შემოიტყუა ისინი, მიიღო ლეგიტიმაცია აშშ-ს ელჩისაგან ანუ ბასმა მწვანე აუნთო მას და იურიდიული საფუძველიც ჰქონდა, რომ აქცია არასანქცირებულობის გამო დაერბია, დაარბია და შემდეგ უკვე ეს პოლიტიკური ხაფანგი გადააქცია ფიზიკურ ხაფანგად. ხალხი იყო ალყაში, ეს იყო განადგურებისთვის მიმართული აქცია, მას სურდა, რომ გაენადგურებინა ადამიანები და გაანადგურა კიდეც ფიზიკურად, დაიღუპნენ ხომ ადამიანები. ადამიანები დაიჭირეს, სცემეს, ზოგი მოკლეს, ზოგიც სიკვდილის პირას მიიყვანეს და სავარაუდოდ, კიდევ გამოჩნდება გვამები და ყველაზე დიდი ცინიზმი აქ იცით რა არის? ის, რომ ამ გვამებს ნელ-ნელა აჩენენ, იმიტომ, რომ ამან აღშფოთების ტალღა არ გამოიწვიოს.



***— და შსს მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე რას იტყვით, ეს ჩანაწერები სანდოა?***

— თუ ხელისუფლებას ჰქონდა ეს ჩანაწერები და ერთი თვით ადრე იცოდა, რომ შეიარაღებული ამბოხი მზადდებოდა, რატომ მაშინვე არ გამოაქვეყნა? ამ ამბოხებას ჰყავს ორგანიზატორები ხომ და ხალხის მასამ, ბუნებრივია, არ იცის მათი განზრახვების შესახებ, თუ ეს ასე იყო, რატომ არ გააგებინა ხალხს? როდესაც ასეთი ტიპის საფრთხე მზადდება, ყველა ნორმალური სახელმწიფო ყოველთვის მოქმედებს თავის ხალხის დაცვისაკენ.

***— თუმცა, თქვენი თქმის არ იყოს, თუ მიზანმიმართულად მოქმედებდა ხელისუფლება, ბუნებრივია, ჩანაწერებს თავის დროზე არ გამოაქვეყნებდა...***

— დიახ, მაგას ვამბობ სწორედ, ეს არის იმის დადასტურება, რომ ხელისუფლების მიზანი იყო, ხალხისთვის სამხედრო სადამსჯელო ოპერაცია ჩაეტარებინა, მათი სამუდამოდ დასახიჩრების და ნეიტრალიზაციის მიზნით. აი, ეს ნათლად ჩანს და მათ ეს ამ ფარული ჩანაწერებით თავადვე თქვეს.

***— აქვე ჩნდება კითხვა, თუ ჩანაწერები სანდოა, მაშინ რატომ არ დგება ორგანიზატორების პასუხისმგებლობის საკითხი, არც ერთი ლიდერი დაკავებული არ არის... მხოლოდ გაუბედურებული ხალხია დახოცილი და დაპატიმრებული...***

— აი, ეს კიდევ მეორე საკითხია. აქ რამდენიმე ვერსია შეიძლება არსებობდეს. ერთი, რომ ჩანაწერები არააუთენთიკურია. ხმის მოდულატორები არსებობს, 30 ათასი დოლარი ღირს ყველაზე საუკეთესო, ეტყობა შეიძინეს და აკეთებენ ხმების მოდულაციას, ანუ ლაპარაკობს ვინმე და ედება ბიწაძის ხმას. ეს კი მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. მაშინ, როდესაც კარგად ვიცით, რომ ყველაფრის ფაბრიკაცია შეიძლება და არაფრის ობიექტური ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი ხდება დავადგინოთ, იყო ეს რეალურად, თუ არა. ხელისუფლებასაც ესმის, რომ მისი ალარავის სჯერა. ეს ჩანაწერები აჩვენეს მხოლოდ საზოგადოების აზრის მართვის მიზნით. ჩანაწერები რომ არააუთენთიკურია, ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ არ აკავებენ ლიდერებს. აბა, ადამიანი გეგმავს სახელმწიფო გადატრიალებას, ჩანაწერი გიდევს და არ აკავებ?

***— სხვათა შორის, მინაშვილმა განაცხადა, რომ თავის დროზე ჩანაწერები რომ გამოგვექვეყნებინა, ხალხს პროტესტის გამოთქმაში შევუშლიდით ხელს და ამიტომაც შევიკავეთ თავიო...***

— ახლა, აკო მინაშვილი, საერთოდ, რომ არის ამ ქვეყანაზე ეს ზოგადად პრობლემაა, მაგრამ ეს არის მისი პირადი პრობლემა, თუმცა მინაშვილი რომ არის საქართველოს სახე საქართველოს პარლამენტში, ეს, რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, რადგან ეს არის რუსთაველის, ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას ქვეყანა. მინაშვილის კომენტარი იდიოტიზმის, ალოგიკურობის და უსირცხვილობის მწვერვალია. ანუ იმიტომ არ დავაკავეთ ორგანიზატორები თავის დროზეო, რომ ხალხი დაგვეხოცაო, ხომ? აცხადებს ამას, თან ახამხამებს თვალებს და ჰგონია, რომ ჭკვიანური რამ თქვა.

***— ისე, როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძე რუსეთის მითითებით არ მოქმედებდა, ხელისუფლება გამუდმებით მის რუსულ კავშირებზე საუბრობს... თანაც ბურჯანაძეს მოსკოვურ ვიზიტებსაც თუ გავიხსენებთ, ამას გამორიცხავთ?***

— რაც შეეხება რუსეთთან კონტაქტს, ერთხელ და სამუდამოდ ქართველმა საზოგადოებამ უნდა დააღწიოს თავი პრორუსულ ძალებზე საუბარს. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს და გეტყვით რატომაც. სააკაშვილი ვინ მოიყვანა ხელისუფლებაში, თუ გახსოვთ, ივანოვმა არ დასვა პრეზიდენტად? ვინ მოუგვარა სააკაშვილს პრობლემა აჭარაში? ვის გადასცა სააკაშვილმა ქვეყნის ეროვნული აქტივები?

***— იმის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილი თავად იმართება რუსეთიდან, კრემლის პროექტია?***

— რა თქმა უნდა, შემდეგ მთელი ეს კომპანია, კოკოითი ფანდარასტ და კოდორის ზემო აფხაზეთად გამოცხადება რას ემსახურებოდა? ეს იყო მიზანმიმართული მსვლელობა რუსეთისთვის ამ ტერიტორიების გადასაცემად. ნურგალიევს შეხვდა მერაბიშვილი, საინტერესოა, რაზე ისაუბრეს მათ? და ამავდროულად მოხდა რუსეთისთვის პოლიტიკური ქრთამის მიცემა. პირდაპირ პოლიტიკური ქრთამი გადასცეს რაოესს, რომელიც არის პუტინის კონტროლის ქვეშ მყოფი მეგაკომპანია. მას გადაეცა „ხრამ1" და „ხრამ2" , რომლის გადაცემის შემდეგაც მთელი ენერგეტიკა არის რუსეთის სახელმწიფო კაპიტალის კონტროლის ქვეშ.

***— და პუტინ-სააკაშვილის დაპირისპირება თამაშია და მეტი არაფერი?***

— რა თქმა უნდა, ლანძღვის ლიცენზია აქვს მიცემული პუტინს სააკაშვილისთვის. პარალელურად ამისთვის საქართველოში არის ასეთი მექანიზმი შექმნილი, შსს აკეთებს ორგანიზებას პრორუსული ჯგუფებისა, ვითომ რუსეთიდან გამოგზავნილნი არიან, ეს, რა თქმა უნდა, შეთანხმებულია რუსეთის ფეესბესთან, ხდება ჯგუფების ორგანიზება აქ, ვითომ ხალხს ჰგონია, რომ პატიოსნად ჰპირდება რუსეთი, რომ დაგვიბრუნებს ტერიტორიებს და ისინი, ვინც პოლიტიკურად გამოუცდელნი არიან, ამ მახეში ებმებიან. შემდეგ გაუკეთებენ ორგანიზებას და მერე ამწყვდევენ ციხეებში. აი, ეს არის მთელი ფილოსოფია და სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ტანდემში მუშაობს. ერთი დღე ნუ აცოცხლოს სააკაშვილი პუტინის გარეშე და პუტინი სააკაშვილის გარეშე. და ხალხი უნდა მიხვდეს, რა სქემის ქვეშ არის, რომ ეს პრორუსული და ე.წ. რუსული შეთქმულება არის მათი სქემის ნაწილი.

***— ქართული პარტიის ქმედებას როგორ აფასებთ, ვგულისხმობ, მრისხანების დღის გადადებას...***

— როგორ ფიქრობთ, კიწმარიშვილი და ოქრუაშვილი შესაძლებელია, რომ ოპოზიციაში იყვნენ? ოქრუაშვილმა 200-მილიონი დოლარი წაიღო საქართველოდან და პარიზში გააცილეს. კაცი მულტიმილიონერია საფრანგეთში და ორჯერ ჩამოდიოდა საქართველოში, არა? მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ამ აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ხალხმა, არ ვიცი, რა ვუწოდო მათ საქციელს, ისინი აკო მინაშვილზე შორს არაფრით არიან, გააჩინეს ხალხში მოლოდინი, რომ ირაკლი მოდიოდა და შემდეგ ჰოი საოცრებავ, ირაკლი არ ჩამოვიდა. ეს არის შეურაცხყოფა ხალხისა. მე მოვუწოდებ ყველას, რომ არ მიესალმონ მათ საერთოდ და მათ კიდევ კეთილი ინებონ და მოუხადონ ბოდიში, თუ შეგნებულად არ მოქმედებდნენ.

***— ქართულ პარტიაში განხეთქილებაა, თქვენი ინფორმაციით, გაჩეჩილაძემ პარტიის რიგები დატოვა?***

— რა თქმა უნდა, და ეს მალე გამომჟღავნდება კიდეც. გაჩეჩილაძე იყო სრულ გაუგებრობაში. ვისაც რა პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს გაჩეჩილაძესთან, ერთი რამ ფაქტია, ის პატრიოტია. სხვა თემაა მისი პოლიტიკური და სხვა სახის შეცდომები, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, ვისთან ჰქონდა მას საქმე. რა თქმა უნდა, გაჩეჩილაძე გააკეთებს განცხადებას. ლევანი, რომ აღარ გაჩერდება ქართულ პარტიაში, ეს ცხადია. ჩემი აზრით, გაჩეჩილაძემ უნდა გააკეთოს კონკრეტული განცხადება და თვალები აუხილოს ხალხს. ეს იქნება გაწმენდა პოლიტიკური ველის, რომელი ფუნქციის შესრულებაც ლევანს ყველაზე კარგად შეუძლია.

***— რვიანზე რას იტყვით, ბრძოლის რამდენად სწორი გზა აქვთ არჩეული, ისინი რეჟიმს რაიმეს დაათმობინებენ?***

— იცით, არჩევნებისთვის ბრძოლის პროცესში არჩევის ყოველგვარი შანსი არ უნდა დაკარგო, ანუ არჩევნები რა არის? ხალხი ირჩევს იმას, ვისი ნდობაც აქვს. შენ თუ დემოკრატიული არჩევნებისთვის იბრძვი და ამ დროს ყველა შანსს კარგავ ამ ბრძოლის პროცესში, რომ იყო არჩეული და ხალხი გაგინებს და გაფურთხებს, მაშინ რისთვის იბრძვი? და თვითონ უნდა გააცნობიერონ, რომ ასეთია რეჟიმის ლოგიკა. სააკაშვილი არ დაუშვებს არავითარ შემთხვევაში ისეთ პოლიტიკურ მოქმედებებს, რომელიც მის პოლიტიკურ მონოპოლიას ხელს შეუშლის. ამიტომ ის ამ პოლიტიკურ ბაზარზე არ დაუშვებს არც ერთ არადისკრედიტებულ პოლიტიკოსს. მისი პოლიტიკური ამოცანაა მორალურად ბოლომდე გაანადგუროს რვიანი, რასაც მიაღწია და როგორ, ხან ბითუმად პატიჟებს კუბლაშვილი მათ, ხან ცალობით. ცირკი ის არის, რომ ესენი ხან ბითუმად მიდიან, ხან ცალობით.

***— არადა, იმედი აქვთ და ეს ჩვენთან საუბრისას, იგივე ალასანიას არაერთხელ უთქვამს...***

— აბა, რა უნდა თქვან, სინამდვილეში არაფრის იმედი არ აქვთ. კარგად აცნობიერებენ, რომ არიან ისეთივე პოლიტიკურ ხაფანგში, როგორშიც იყვნენ კრების ორგანიზატორები. ზოგი გამოუცდელობით, ზოგიც ანგარებით. გამყრელიძემ მაესტროს ეთერში განაცხადა, რომ რომც არ შეიცვალოს საარჩევნო გარემო, მაინც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ხვდებით, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ის ხაზი წავიდა, რომ გაუპრავონ, გაუთეთრონ სააკაშვილს ეს ავტორიტარული რეჟიმი ამ იმიტირებული სტრუქტურებით, რომელსაც წარმოადგენს ქვეყანში ოპოზიცია. ეს არის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც სჭირდება რეჟიმს იმისთვის, რომ იმიტაცია მოახდინოს დემოკრატიის. მათ ახლაც აქვთ შანსები, რომ მიიღონ მონაწილეობა იმიტაციური რეჟიმიდან რეალური დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში. ამისათვის კი ისინი პოლიტიკური კონიუნქტურიდან უნდა ამოვიდნენ.

***— და რატომ არ აკეთებენ ამას?***

— ამას აშშ-ს პოზიციის გამო არ აკეთებენ, რომელიც მათ ამ კონიუნქტურაში აქცევს და რომელსაც უნდა, რომ ეს რეჟიმი არსებობდეს საქართველოში. ესენიც უპრავებენ სააკაშვილს ხელისუფლეს, ასეთია ეს კონიუნქტურა და ამაში სხედან ისინი და ჰყავთ თავიანთი არასამთავრობო სექტორი, რომელიც ასევე მხარს უჭერს მათ.

***— ითქვა, რომ აშშ გარკვეულ თანხასაც კი უხდის რვიანს, რომ მიიღოს მონაწილეობა ამ მოლაპარაკებებში, ამბობენ, ნაციონალები კვლავ უმრავლესობით მოხვდებიან პარლამენტში, რვიანი კი მათ გვერდს დაუმშვენებსო, ეს რამდენად მოსალოდნელია?***

— რა თქმა უნდა, და ეს 90 მილიონი დოლარი, რომელიც დემოკრატიის განვითარებისთვის უნდა გადმორიცხოს აშშ-მ, ემსახურება იმას, რომ ეს კონიუნქტურა არსებობდეს საქართველოში, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ ამ კონიუნქტურით ქვეყანა ნადგურდება? რაც შეეხება პარლამენტში მოხვედრას, რა თქმა უნდა, რვიანი შევა პარლამენტში ამათი დახმარებით, მათ ექნებათ კვოტები. იმიტომ ხდება ეს ყველაფერი, ანუ მათი მორალური ავტორიტეტის დაცემა, რომ პარლამენტში შესვლის რეალური შანსი არ ჰქონდეთ და როცა შევლენ, იყვნენ ისეთივე მართულები, როგორც არის „ჩვენ თვითონ" და სხვები.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# აქციის დაშლის ლეგიტიმურობაში ეჭვი არავის ეპარება

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ 26 მაისის აქციის დაშლის შესახებ კომენტარი გააკეთა. ტრადიციულ პრესკონფერენციაზე კალანდაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თუ ადგილი ჰქონდა სამართალდამცავების მხრიდან დარღვევებს, შესაბამისი ორგანოები გამოიძიებენ მომხდარს და ადეკვატურ შეფასებებსაც მისცემენ. საჭიროების შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.**



ნათია ხურცილავა

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობამ 26 მაისის აქციის დაშლას მკაცრი შეფასება მისცეს.

საერთაშორისო ორგანიზაციები, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან, ასევე საუბარია ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის დროს ხელის შეშლის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით.

— შეფასების სიმკაცრესთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ დამოკიდებულება სხვადასხვანაირი იყო. საერთაშორისო ორგანიზაციებმა სხვადასხვანაირად შეაფასეს, თუმცა ყველა შეფასებაში ცალსახად იყო საუბარი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა დარღვევას როგორც მოქალაქეების მხრიდან, ისე სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ადეკვატური გამოძიება ჩატარდეს შესაბამისი ორგანოების მხრიდან. თუ დარღვევებს ადგილი ჰქონდა, შესაბამისი ორგანოები ადეკვატურად გამოიძიებენ, შეაფასებენ და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

26 მაისის აქციის დაშლა რა შედეგს და იმიჯს მოუტანს ჩვენს სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე? ამ კითხვას საგარეო საქმეთა სამინისტროში ასე პასუხობენ:

— საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებების უმეტეს ნაწილში აქციის დაშლის ლეგიტიმურობაში ეჭვი არავის არ შეუტანია. შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ რაიმე სახით უარყოფითი შეფასება იქნება ქვეყნის იმიჯთან დაკავშირებით, — აღნიშნა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში კომენტარი სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში მოვლენების შესაძლო განვითარებაზე გაკეთდა.

— იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთის ტერიტორია ჯერ კიდევ ოკუპირებულია, ძალიან ძნელი გასაკეთებელია ნებისმიერი სახის პროგნოზი. ამ ეტაპზე ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, ეს იქნება არალეგიტიმური არჩევნების ფორმით თუ რაიმე სხვა სახით, ამ ეტაპზე ჩვენთვის სრულიად არაპროგნოზირებადია. საქართველოს არც ერთ ტერიტორიაზე, არავის არა აქვს უფლება, რომ სეპარატისტული, დამოუკიდებელი არჩევნები ჩაატაროს. ასეთი არჩევნები როგორც საერთაშორისო, მით უფრო საქართველოსთვის არალეგიტიმურია, იურიდიული ძალის არ მქონე. შესაბამისად ჩვენთვის ვითარება ამ ეტაპზე განსაკუთრებულად არ იცვლება, — განაცხადა კალანდაძემ.

31 მაისს სარფის განახლებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტს საზეიმოდ პრეზიდენტი სააკაშვილი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი გახსნიან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პრეზიდენტი სააკაშვილი და პრემიერი ერდოღანი ცერემონიალის შემდეგ შეხვედრას გამართავენ, შეხვედრის ფარგლებში ორი ქვეყნის ლიდერები ორმხრივ ურთიერთობებს განიხილავენ.

1 ივლისიდან საქართველოს მოქალაქეებს, ისევე როგორც თურქეთის მოქალაქეებს, საშუალება ექნებათ ორი ქვეყნის საზღვარი პირადობის მოწმობით გადაკვეთონ ყოველგვარი პასპორტის გარეშე.

— თურქეთი საქართველოსთვის ნომერ პირველი პარტნიორია სავაჭრო თვალსაზრისით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება. ამავდროულად ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც შეეხება ორი ქვეყნის მოქალაქეთათვის გამარტივებული რეჟიმით საზღვრის გადაკვეთის თაობაზე. საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება და ძალაში შევა 1 ივლისს შეთანხმება, შესაძლებლობა ექნებათ, რომ პირადობის მოწმობებით გადაკვეთონ საზღვარი, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს და გააღრმავებს არამხოლოდ ტურისტულ ურთიერთობებს, არამედ სავაჭრო ურთიერთობებსაც. იმედი გვაქვს, რომ რეალურად გაამარტივებს ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიმოსვლის შესაძლებლობას, — განაცხადა კალანდაძემ.

1-4 ივნისს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კუბის რესპუბლიკაში ვიზიტით გაემგზავრება.

კუბის რესპუბლიკაში ვაშაძე თავის პირველ ოფიციალურ ვიზიტს გამართავს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მის უშუალო კოლეგასთან შეხვედრა და მოლაპარაკებები.

ასევე დაგეგმილია კუბის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელთან და კულტურის მინისტრთან შეხვედრა.

6 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ავსტრიაშია დაგეგმილი, რომელსაც მინისტრი თავად უხელმძღვანელებს.

ვაშაძე ავსტრიაში შეხვედრას ავსტრიელ კოლეგასთან გამართავს. ამავდროულად დაგეგმილია ორმხრივი კონსულტაციები.

— ავსტრიასთან შედარებით პასიური ურთიერთობების ფონზე, ბოლო პერიოდში ჩვენი ურთიერთობები ძალიან გააქტიურებულია. ამ სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა, რასკვირველია, ყოველთვის გვქონდა, მაგრამ ამ ეტაპზე სხვადასხვა სახის ღონისძიებები იგეგმება, როგორც ეკონომიკური, ისე ტურისტული ღონისძიება. ავსტრიულ მხარეს დაინტერესება აქვს, რომ საქართველოში სხვადასხვა სახის ინვესტიცია განახორციელოს და ასევე პროექტები დაგეგმოს. საუბარი არის როგორც ტურისტულ, ასევე საგანმანათლებლო სფეროში. ჩვენ ამ გადაწყვეტილებებს მივესალმებით და ვცდილობთ, რომ ყველა ინფორმაცია მივაწოდოთ, რა ვითარებაა საქართველოში და რამდენად ხელსაყრელია ბიზნესკლიმატი საქართველოში ავსტრიისთვის ინვესტიციების განსახორციელებლად. ამდენად, იმედი გვაქვს, რომ ვიზიტი წარმატებული იქნება, — აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს 4-7 ივნისს კიდევ ერთი ვიზიტი აქვს დაგეგმილი. ამჯერად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაცია ჩამოვა. დელეგაციას რესპუბლიკელი კონგრესმენი უხელმძღვანელებს.

აღნიშნულ კონგრესმენთა ჯგუფი დემოკრატიის მხარდამჭერია, რომელიც საქართველოს სწორედ იმისთვის ეწვევა, რომ ადგილზე გაეცნოს საქართველოში მიმდინარე პროცესებს დემოკრატიის კუთხით.

# „თავისუფალი საქართველო“ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ უჭერს

პარტია „თავისუფალი საქართველო“ მიიჩნევს, რომ 26 მაისს მომხდარი ფაქტების დამოუკიდებელი გამოძიება უნდა ჩაატაროს მხოლოდ უფლებადამცველებისგან შემდგარმა კომისიამ, რომელსაც ექნება სახელმწიფო კომისიის სტატუსი. განცხადება ამის შესახებ პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ცანავამ გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტის მოთხოვნა, როგორც ჩანს, აიძულებს ხელისუფლებას, ჩაატაროს 26 მაისის კანონდარღვევების თუნდაც ფორმალური ძიება.

— სწორედ იმ მიზნით, რომ ძიება განხორციელდეს ფორმალურად და რეალური ფაქტები საზოგადოებისთვის დაიმალოს, ხელისუფლებასთან დაახლოებული პარტიები გამოვიდნენ ინიციატივით, შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რაც იგივე დავითაიას კომისიის გამოცდილებიდან გამომდინარე, აშკარაა თუ რაოდენ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი იქნება, თუმცა საერთაშორისო საზოგადოების რეკომენდაცია ფორმალურად შესრულებულად ჩაითვლება, — ნათქვამია განცხადებაში.



პარტია „თავისუფალი საქართველო“ მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი გამოძიება უნდა ჩაატაროს მხოლოდ უფლებადამცველებისგან შემდგარმა კომისიამ, რომელსაც ექნება სახელმწიფო კომისიის სტატუსი.

— აქვე შევნიშნავთ, რომ უფლებადამცველები ვერანაირად ვერ მიიღებენ მონაწილეობას საპარლამენტო კომისიაში, სადაც მხოლოდ პარლამენტის წევრების მონაწილეობაა კანონით გათვალისწინებული“, — ნათქვამია დოკუმენტში.

**ინტერპრესნიუსი**

# 26 მაისის ტრაგიკულ დღეზე გარკვეული პასუხისმგებლობა ჯონ ბასსაც ეკისრება



ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში ჯონ ბასს მიხეილ სააკაშვილის წაქეზებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ 26 მაისი ტრაგიკულ დღეზე პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტთან ერთად პასუხისმგებლობა ამერიკის ელჩსაც ეკისრება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გუგავამ აღნიშნა, სპეცრაზმი, რომელმაც რუსთაველის გამზირზე მომიტინგეები დაარბია აშშ-ში, ლუიზიანას შტატში ამერიკელების მიერ არის გაწვრთნილი, ხოლო ჯონ ბასის მიერ გაკეთებული განცხადება მიხეილ სააკაშვილისთვის აქციის დარბევისათვის მიცემული ერთგვარი სანქციაა.

— მან წააქეზა სააკაშვილი, რამაც გამოიწვია ის შედეგები, რაც მოხდა 26 მაისს. განცხადება, რომელიც ბასმა აქციის დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთა, იყო სანქცია აქციის დარბევისა. ამიტომ 26 მაისის ტრაგიკულ დღეზე პასუხისმგებლობა სააკაშვილთან ერთად სრულად ეკისრება ამერიკის ელჩს, — განაცხადა გუგავამ და დასძინა, რომ აშშ-ში მსგავსი განცხადების გაკეთებისთვის ნებისმიერი ქვეყნის ელჩს გააძევებდნენ ქვეყნიდან.

**მედიანიუსი**

# „სახალხო კრება“ 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

— 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქვეყნის მმართველმა რეჟიმმა უპრეცედენტო სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ სწორედ მაშინ, როდესაც ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის დადგომას ზეიმობდნენ.

ჩატარდა სადამსჯელო სპეცოპერაცია, რომლის მიზანსაც არა აქციის დაშლა და რუსთაველის გამზირის გათავისუფლება, არამედ აქციის ორგანიზატორებისა და თითოეული მონაწილის სასტიკი სამაგალითო დასჯა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის დაშინება იყო.

ამ სისხლიან სადამსჯელო ქმედებას, რომლის დროსაც მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს გასაქცევი გზა არ დაუტოვეს, ამ დროისთვის 4 ადამიანი სიცოცხლე ემსხვერპლა და ასობით ადამიანია დაკარგული, ნაცემი და ნაწამები. სახელმწიფო ტერორის მსხვერპლი გახდნენ, ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები.

ქვეყანაში მიმდინარეობს მასობრივი უკანონო დაპატიმრებები. სასტიკად გაუსწორდნენ მშვიბოდიანი აქციის ორგანიზატორებს და მონაწილეებს არამარტო დაკავებისას, არამედ მოგვიანებით, წინასწარი დაკავების იზოლატორში.

სადამსჯელო სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო მასობრივი რეპრესიების ახალი ტალღა განსხვავებული აზრის მქონე პირთა მიმართ. ოჯახებიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პოლიციის განყოფილებაში მიჰყავთ 26 მაისის დილას, სადამსჯელო ოპერაციის გატარების დროს დაკავებული და გათავისუფლებული ადამიანები და მათი ოჯახის წევრები.

დაიწყო ბადრი ბიწაძის პოლიტიკური დევნაც შეთითხნილი ბრალდებებით, მისი დაკავების მიზნით, სახალხო კრების მიმართ რეპრესიები 21 მაისამდე ბევრად ადრე დაიწყო. უკანონოდ დაიჭირეს ჩვენი ასობით მომხრე.

დღემდე უამრავი ადამიანი იტანჯება რეჟიმის საპყრობილეში, აბსოლიტურად არაადამიანურ პირობებში. ისევე, როგორც 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ აქციის დარბევის შემდეგ დაიწყო მომხდარის დემონსტრანტებისთვის გადაბრალება და ცდილობდა სიმართლე არ გამხდარიყო ცნობილი, ანალოგიურად დღევანდელმა ნეობოლშევიკურმა რეჟიმმა ჭეშმარიტების დამალვის მიზნით დეზინფორმაციის მანქანა აამოქმედა იმ დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებმაც ნამდვილი სამოქალაქო გმირობა ჩაიდინეს. თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლი ეს ადამიანები ხელისუფლებამ ნეობოლშევიზმის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად, რუსეთის აგენტებად და ხალხის მტრებად მონათლა.

თავსხმა წვიმაში ბოლომდე იდგნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები, რომლებიც უშვებდნენ რომ ხელისუფლება აქციას სასტიკად დაშლიდა, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ აქციის დაშლის ნაცვლად, ხალხს სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ. ბოლომდე ხალხთან ერთად ვიდექით ჩვენც, სახალხო კრების ყველა ლიდერიც სამშობლოს, თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დასაცავად. 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი დიქტატორულ სისხლიან რეჟიმად გადაიქცა.

დარწმუნებულები ვართ, რომ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს არ შერჩება ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულები და რეჟიმის წარმომადგენლები პასუხს აგებენ დამოუკიდებელ ქართულ სასამართლოს წინაშე. 9?აპრილი გახლავთ რუბიკონი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე კომუნიზმის წინააღმდეგ. 26 მაისის დილა შევა საქართველოს ისტორიაში როგორც ქართველი ხალხის გმირული თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოკრატიისათვის.

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს. თანაგრძნობას ვუცხადებთ დაშავებულ ადამიანებს. თანადგომას ვუცხადებთ ყველა დაპატიმრებულს და ვპირდებით, რომ ბრძოლას არ შევწყვეტთ. ჩვენ მივიღეთ უდიდესი დარტყმა. ჩვენ ამ დარტყმამ ვერ წაგვაქცია. „სახალხო კრება“ აგრძელებს ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისთვის, ბრძოლას სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, ბრძოლას იმ დემოკრატიული ფასეულობებისთვის, რომლებიც იცავდა 26 მაისს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ დილის 00:15 საათამდე რამდენიმე ათას ქართველ გმირს. ეს არის ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე“, — ნათქვამია სპეციალურ განცხადებაში, რომელსაც „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო ავრცელებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ბიწაძის დაპატიმრება სააკაშვილისთვის იქნება ცუდი

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, ხელისუფლება კომპრომატებს კომპრომატებზე აქვეყნებს სახალხო კრების ლიდერების წინააღმდეგ. თქვენი აზრით, რამდენად იყო ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, როგორც ამას ხელისუფლება აფასებს?***

— სამწუხაროდ, მე არ მინახავს ის ახალი კადრები, რაც შსს-მ გამოაქვეყნა. ამის მიუხედავად, ნაადრევია ამაზე საუბარი, იყო თუ არა ეს გადატრიალება. ჩვენ უნდა ვნახოთ ყველა ის მტკიცებულება. რა თქმა უნდა, ადვოკატები უნდა ჩაერთონ და მათ უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, რა მტკიცებულებებს ფლობს, მაგრამ ის თავისუფლად შემიძლია გითხრათ, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება საკუთარი გადაწყვეტილების, პოლიტიკური გადაწყვეტილების და მიდგომების ფარგლებში გარკვეულ ჩიხში მოექცა.

***— რას გულისხმობთ ამაში?***

— თქვენ იცით, რომ პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, იცით, რომ სხვადასხვა პოლიტიკოსებმა გააკეთეს განცხადებები, რომ ყველაფერ ამის უკან რუსეთი დგას, რომ კრემლი მართავს ბურჯანაძეს და იმ აქციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 26 მაისამდე. მათ მიერ გავრცელებული ჩვენებების თუ ვიდეო მასალების შემდგომ, ხელისუფლებას უბრალოდ ჰქონდა უკვე პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღეძრა და დაემტკიცებინა ის, რაზეც უკვე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტი არღვევს უდანაშაულობის პრეზუმპციას, როდესაც საუბრობს, რომ ამ ჯგუფის უკან დგას კრემლი და ესენი არიან მოღალატეები და ა.შ. და ა.შ. სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას და არ დამტკიცდება ბრალეულობა ამა თუ იმ პირის პასუხისმგებლობის, რა თქმა უნდა, არასწორია ასეთი შეფასებები. ეს ყველაფერი შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ზეწოლა სამართალდამცავ ორგანოებზე და საერთოდ სასამართლო ხელისუფლებაზე.

***— საუბარია, რომ თითქოს თემურ ხაჩიშვილი ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს მოსკოვიდან, რომელსაც სატელეფონო კავშირი ჰქონდა ბადრი ბიწაძესთანო... ამის შესახებ ყინწვისის სპეცოპერაციისას დაკავებულები საუბრობენ...***

— ზოგადად ჩვენს ქვეყანაში ჩვენებებს როგორ მოიპოვებენ, ეს კარგად ვიცით და ამიტომ ძალიან მიჭირს, რომ აქედან რაიმე დასკვნები გამოვიტანო. თუ მტკიცებულებები არ იქნება, ძნელია ამ ყველაფერზე ზეპირად საუბარი, მაგრამ ფაქტი არის, რომ პროცესი არის პოლიტიზირებული, ამ პროცესში ხელისუფლებას აქვს პირდაპირი ინტერესები. აქ საქმე არ არის მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებასთან, აქ საქმე არის ხელისუფლების პასუხისმგებლობასთან, ის რაც მან ჩაიდინა. რუსულ ჟარგონს გამოვიყენებ და ეს თუ არ გაპრავდა, მაშინ ფაქტობრივად აღმოჩნდება, რომ ხელისუფლება იტყუებოდა და ყალბი, მოჭორილი ამბების გამო ახორციელებდა დევნას პოლიტიკური ოპონენტების. ამიტომ, ბუნებრივია, დაკავებებს უნდა ველოდეთ, უბრალოდ მთავარია, რამდენად საფუძვლიანი იქნება შესაბამისი მტკიცებულებები და რამდენად სამართლიანად წარიმართება პროცესი.

***— ხელისუფლება რამდენად წავა ლიდერების დაკავებაზე?***

— ხელისუფლება სამიზნეთ ამოირჩევს ბადრი ბიწაძეს, იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძე მაინც პოლიტიკოსია, მას ასე თუ ისე გარკვეული პოლიტიკური იმიჯი აქვს, მათ შორის დასავლეთში. მეორე მხრივ, პიარკამპანიის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ეს თავად ხელისუფლებაზე იმოქმედებს უარყოფითად, რადგან სააკაშვილს ვარდების რევოლუციისას სამი-ოთხი ადამიანი ჰყავდა გვერდით, ეს იყო ზურაბ ჟვანია, ნონო ბურჯანაძე და ირაკლი ოქრუაშვილი. ჟვანიას გარდაცვალების ფაქტი, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ ბევრ კითხვას ტოვებს. ერთი მარჯვენა ხელი, ბურჯანაძის სახით, მას ოპონირებას უწევს და პოლიტიკურ ოპოზიციაშია, ირაკლი ოქრუაშვილიც ასეთ ვითარებაშია. ერთი დაიჭირა და ქვეყნიდან გააძევა, მეორესაც თუ დაიჭერს და დააპატიმრებს, დასავლეთს გაუჩნდება ეჭვი, რომ სააკაშვილი ამ შემთხვევაში პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მოქმედებს სხვადასხვა მეთოდებით. მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში არ არის სამართლიანი სასამართლო. ამიტომ ბიწაძე იქნება ერთგვარი გამოსავალი ხელისუფლებისთვის, რომ ყველა პასუხისმგებლობა მას დააკისროს. ერთი მხრივ, ამით შეიძლება ნინო ბურჯანაძე გააჩუმოს, მეორე მხრივ კი, ბიწაძე არ არის ის ადამიანი, რომელსაც საზოგადოებაში ისეთი იმიჯი ჰქონდეს, რომ მისი გულისთვის ხალხმა პროტესტის გამოხატვა დაიწყოს.



***— რაც შეეხება 26 მაისს და ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს, როგორია თქვენი შეფასებები ამასთან დაკავშირებით?***

— ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ის რაც ჩვენ ვიხილეთ 26 მაისს ე.წ. სამართალდამცავების მხრიდან, ეს იყო დანაშაული, რომელიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გამოძიებას და დასჯას. ჩვენ ყველამ ერთად ვნახეთ კადრები, სადაც ფაქტია, რომ ამ სამართალდამცავმა ორგანოებმა ჩაატარეს არა დაშლის, არამედ დარბევის ოპერაცია, რომლის ამოცანაც იყო ადამიანების უკანონოდ დაკავება, დაპატიმრება და ფიზიკური გასწორება. რიგ შემთხვევებში ეს გადაიზარდა არაადამიანურ სასტიკ მოპყრობებში და ასევე წამებაში. ასევე ადგილი ჰქონდა ადამიანების გატაცებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასევე ადგილი აქვს იმას, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ უცნობია სად არის, დაკარგულებად ითვლებიან. ასევე ფაქტია, რომ რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. ასევე ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება გარდაცვლილ ადამიანებთან მიმართებაში, იმიტომ, რომ ფაქტები ხშირ შემთხვევაში მტკიცებულებებს ვერ ემთხვევა. ეს ყველაფერი დამოუკიდებელი გამოძიების გარეშე, მიუკერძოებელი გამოძიების გარეშე, იქნება ერთ-ერთი მორიგი შავი ლაქა ქართულ ისტორიაში. ჩვენ გვახსოვს 7 ნოემბერი, გვახსოვს 7 ნოემბერსაც როგორ დასახიჩრდნენ ადამიანები, სადაც ხელისუფლებამ ასევე უკანონოდ გამოიყენა ძალა. 7 ნოემბერიც, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამაც აღიარა, რომ იყო დანაშაული, მათ შორის იმედის დარბევა, ეს არ გამოუძიებია, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ მიზანმიმართულად თვალი დახუჭა იმ დანაშაულზე, რომელიც თავად ჩაიდინა.

***— 7 ნოემბერი შერჩა და იფიქრა 26 მაისიც შემრჩებაო...***

— როგორც ჩანს, მაგაზე მიდის მუშაობა.

***— რატომ იყო ასეთი სასტიკი და დაუნდობელი ხელისუფლება, ეს იყო მცდელობა საზოგადოების დაშინების, რომ მათ აღარასოდეს გაბედონ ქუჩაში გამოსვლა და პროტესტის გამოხატვა?***

— ეს იყო მცდელობა იმისა, რომ დაშინებულიყო არა უბრალოდ ის ადამიანები, ვინც ქუჩაში იდგნენ, არამედ ყველა ის, ვინც ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ არალოიალურია, არათუ ეწინააღმდეგება, არამედ არალოიალურია. ეს იყო ერთგვარი დემონსტრირება ძალის და იმის, ვინც გაბედავს და ამ ხელისუფლებას რევოლუციური მეთოდებით შეებრძოლება, მას აუცილებლად პასუხს გასცემს ხელისუფლება, მათ შორის არაკანონიერი გზით, მათ შორის ძალადობით და განადგურებითაც. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც შეეხებოდა არა მხოლოდ ამ ადამიანებს, არამედ მთელ საზოგადოებას და მთელ ქართველ ხალხს.

***— როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია და რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი?***

— ყველა შემთხვევაში, უნდა ვიცოდეთ, რომ როგორც წესი, ასეთი ქმედებების დროს ზარალდება სახელმწიფო და ხალხი. დასავლეთისგან ქართველი საზოგადოება აუცილებლად მოითხოვს პასუხს, იმიტომ, რომ რაღაც მომენტში დასავლეთი შემოვიტრიალეთ საზოგადოების მხარეს, დასავლეთი ერთგვარად ჩვენი პარტნიორი გახდა არადემოკრატიული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის რა განცხადებებიც გააკეთა ბასმა და სხვა ელჩებმა, ეს იყო პირველი რეაქცია. დარწმუნებული ვარ, რომ მას შემდეგ, რაც ისინი დეტალურად გაეცნობიან არსებულ ფაქტებს და მოვლენებს, თავის გადაწყვეტილებებს აუცილებლად შეცვლიან და იქნებიან მკაცრნი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, რომლის გამოძიებასაც ნამდვილად არ აპირებენ. ჩვენი პირველი ამოცანაა დასავლეთის მხარდაჭერით მივაღწიოთ გამოძიებას.

***— რამდენად ობიექტური იქნება ეს გამოძიება?***

— ხელისუფლება, როგორც ჩანს, მზად არის იმისათვის, რომ გამოძიება ჩაატაროს. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ზეწოლის შემდეგ ამ ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვენდოთ იმ გამოძიებას, რომელსაც ხელისუფლება შემოგვთავაზებს. საკუთარ თავს რომ ეს ხელისუფლება არ სჯის, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. გირგვლიანის მკვლელების გამოშვება არის ამის ყველაზე კარგი ნიშანი.

***— ვინ უნდა ჩაატაროს ეს გამოძიება?***

— საზოგადოებაში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება ენდობა და მეორეც, არიან საერთაშორისო ექსპერტები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ამ გამოძიებაში და თავიანთი კომპეტენტური სიტყვა თქვან.

## მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, ბადრი კოლუაშვილი დააკავეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, კრიმინალური ავტორიტეტი ბადრი კოლუაშვილი, რომელიც კრიმინალურ სამყაროში ბადრი ქუთაისკის სახელითაა ცნობილი, მოსკოვში დაკავებისას ჰეროინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

სამართალდამცავების ცნობით, 46 წლის კოლუაშვილი, მოსკოვის ცენტრში ერთ-ერთ კაფეში აიყვანეს. მას ჩხრეკისას 2,8 გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს.

რუსი სამართალდამცავების ინფორმაციით, კოლუაშვილთან ერთად მათ რამდენიმე რუსი კრიმინალური ავტორიტეტიც დააკავეს.

კოლუაშვილის წინააღმდეგ, ნარკოტიკების უკანონო შენახვის ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**მედიანიუსი**

## ზუგდიდის პოლიციამ სამი გარემოვაჭრე დააკავა

გუშინ ზუგდიდის პოლიციამ სამი გარემოვაჭრე: სვეტლანა გელანტია, ნინი შეროზია და ია თოდუა ზუგდიდის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოვაჭრეების დაშლისას დააკავა.

როგორც „მედიანიუსს" ზუგდიდის პოლიციაში განუცხადეს, დაკავებული ამ დროისათვის სასამართლოში არიან გადაყვანილი.

წინასწარი ინფორმაციით, გარემოვაჭრეებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს და სწორედ ეს გახდა მათი დაკავების მიზეზიც,

როგორც ცნობილია, სამართალდამცველებმა გარემოვაჭრეების დაშლა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ბაზრის შიგნით მოვაჭრეებმა დღეს დილით გამგეობის წინ საპროტესტო აქცია მოაწყვეს გარევაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით.

**მედიანიუსი**

## კახეთში კოღო ანოფელესი გავრცელდა

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჰერეთისკარის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. პრობლემას მალარიის გადამტანი მწერი კოღო ანოფელესი ქმნის, რომელიც ადგილობრივთა მტკიცებით, ბოლო პერიოდში საგანგაშოდ გამრავლდა, — აცნობეს „მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან".

სოფლის ექთანის მერი მუზაძის თქმით, საღამოს 5 საათის შემდეგ სახლიდან გარეთ ვეღარ გამოდიან, რადგან მწერები ამ დროს ყველაზე აქტიურები არიან.

ექთნის თქმით, სოფელში მალარიის შემთხვევები ჯერ არ გამოვლენილა, თუმცა ამის საშიშროება არსებობს. კოღო ანოფელესის ნაკბენიდან სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროებაც არის.

მერი დუმბაძე ამბობს, რომ სოფელში მწერების გასანადგურებლად წამალი დაარიგეს, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ლაგოდეხის სამსახური რაიონში ბოლო პერიოდის განმავლობაში კოღოს მომრავლების შესახებ საქმის კურსშია. სამსახურის უფროსის ნუნუ ნოზაძის განცხადებით, მათ ჰერეთისკარის მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების და საქონლის სადგომების შესაწამლად სპეციალური პრეპარატი დაურიგეს, თუმცა თავადვე აღნიშნავს, რომ ეს საკმარისი არ არის.

ნუნუ ნოზაძე მოსახლეობის დაუდევრობაზეც საუბრობს. მისი თქმით, მწერების გამრავლების კერა სოფელში არსებული გუბეებია, რომლის დაშრობაც თავად მოსახლეობასაც შეუძლია. ნოზაძის თქმით, ის რომ გუბეების და მდინარეების შესაწამლად პრეპარატი გამოიყოს, ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. რაც შეეხება წამლის დარიგებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვა მათ პრეპარატს უფასოდ მიმდინარე წლის აგვისტოში კიდევ დაურიგებს.

**მედიანიუსი**

## ევროპაში დაინფიცირებული ბოსტნეული გავრცელდა

ესპანური ბოსტნეულისგან გავრცელებული, საშიში ნაწლავური ინფექციით დაინფიცირებულების რაოდენობა იზრდება.

გუშინ დილას აღნიშნული ინფექციით დაავადებულთა რიცხვმა 400 მიაღწია. დავადების კიდევ 15 შემთხვევა, რომლის მიზეზიც ეშცჰერიცჰია ცოლი ბაქტერია გახდა, დიდ ბრიტანეთში, დანიაში, ნიდერლანდებში და შვედეთში დაფიქსირდა.

გერმანიის კოხის ინსტიტუტის ინფორმაციით, აღნიშნულმა ინფექციამ, რომელიც ნაწლავის ჩხირის შტამისგან არის გამოწვეული, შესაძლოა, ღვიძლის უკმარისობა გამოიწვიოს და დადგეს ლეტალური შედეგი. ის რთულად ექვემდებარება ანტიბიოტიკებით მკურნალობას.უნგრეთში, ავსტრიასა და ჩეხეთში დაინფიცირებული ბოსტნეული მაღაზიების დახლებიდან უკვე ამოიღეს.

ევროპის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აფრთხილებს მოქალაქეებს, უცხოური ბოსტნეულის შეძენისას ზედმიწევნით გარეცხონ ისინი.

**მედიანიუსი**

## წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელი განცხადებას ავრცელებს

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა დაიწყო იმ ადამიანების მონახულება, ვინც თბილისში, მაისის აქციებთან დაკავშირებით დააპატიმრეს და ამჟამად იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა ადგილას, თბილისსა და ახლომდებარე ქალაქებში. განცხადება ამის შესახებ კომიტეტმა დღეს გაავრცელა.

— მიტინგის დაშლის შემდეგ, ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო გაგვერკვია, საჭიროებდნენ თუ არა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებას ის საავადმყოფოები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებსაც მიმართეს დაშავებულებმა, რათა სათანადო მკურნალობა გაეწიათ ამ ადამიანებისათვის, — განაცხადა არიან ტომბემ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოში.

— ჩვენ ასევე მოვითხოვეთ ამ მოვლენებთან დაკავშირებით დაპატიმრებული ადამიანების მონახულების უფლება და ძალიან სწრაფად მივიღეთ დადებითი პასუხი ხელისუფლების მხრიდან, რაც მისასალმებელია, — აღნიშნა ტომბემ.

კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ორგანიზაციის წევრთა მიზანია, შეამოწმონ, როგორ ეპყრობიან დაპატიმრებულებს და როგორია, ზოგადად, მათი დაკავების პირობები. ამასთან, კომიტეტის წარმომადგენლები მუდმივად უკავშირდებიან იმ ოჯახებს, რომლებმაც თავიანთი ახლობლების დაკავების გამო კომიტეტის მიმართეს.

სტანდარტული პრაქტიკის მიხედვით, ამ ვიზიტების შედეგად მოპოვებულ დაკვირვებებზე სათანადო რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ვიზიტების შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს უზიარებს მხოლოდ ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს მკაცრად კონფიდენციალურ საფუძველზე.

**ინტერპრესნიუსი**

## სამი შვილის დედას ორი კვირაა ეძებენ

ქუთაისში, დევნილთა საერთო საცხოვრებლიდან დაკარგული 22 წლის ქრისტინე ქობალიას ორი კვირაა ეძებენ.

ის სახლიდან 16 მაისს, საღამოს სამი მცირეწლოვანი შვილისთვის საჭმლის საყიდლად გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

ქრისტინე ქობალია მარტოხელა დედა იყო, მეუღლეს იგი ერთი წლის წინ გაცილდა. როგორც დაკარგულის დედა აცხადებს, მისი შვილისა და სიძის დაშორების შემდეგ სიძე აღარ გამოჩენილა.მცირეწლოვანი ბავშვები მარჩენალის გარეშე დარჩნენ. ბავშვების ბებიის განცხადებით, თუ ახლო მომავალში ქრისტინე ქობალიას პოვნა ვერ მოხერხდება, ის იძულებული გახდება პატარები ბავშვთა სახლში მიიყვანოს.

**მედიანიუსი**

# როდის იყო, ხელკეტებით სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენ

გულიკო ბალა ე

ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა 26 მაისის ღამით მიმდინარე აქციაზე იმყოფებოდა და თავისი თვალით ნახა იქ მოწყობილი დარბევა. როგორც ვლადიმერ ტაბაღუა გვიყვება, დარბევის დაწყების მომენტისთვის ტრიბუნაზე ორგანიზატორების გვერდით იდგა, შემდეგ კი, ქაშუეთის მიმართულებით გავიდა. თუმცა, გზა ყველა მხარეს დაკეტილი დახვდა და ქაშუეთის ეკლესიის უკანა გალავნიდან გადახტა.

მას აინტერესებს, თუ ხელისუფლებამ იცოდა, რომ სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა, თანაც რუსეთის სპეცრაზმის მონაწილეობით, მაშინ რატომ ადრე არ აღკვეთა ეს მზადება? რატომ არ მიიღო ხელისუფლებამ პრევენციული ზომები და ხალხი რატომ მიიყვანა პარლამენტის წინ?

ტაბაღუას თქმით, თუ ხელისუფლებას სერიოზული ინფორმაცია ჰქონდა და არ იმოქმედა, ე.ი. მან ხელი შეუწყო სახელმწიფო გადატრიალების მზადებას, რათა საქმე ბოლომდე მისულიყო.

მით უმეტეს, როცა როგორც ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანა გვიყვება, რომ შს სამინისტრომ და უშიშროებამ ჯერ კიდევ 4 აპრილსვე იცოდა იმის შესახებ, რაშიც ახლა უნდათ დაგვარწმუნონ და არ მიიღეს პრევენციული ზომები, ე.ი. ხელისუფლებამ ხელი შეუწყო რუსეთის გეგმის განხორციელებას.

**ვლადიმერ ტაბაღუა:**

— ვმონაწილეობდი სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ აქციაში, რომლის თავმჯდომარე არის ერის საამაყო ასული ნონა გაფრინდაშვილი. მის გვერდით დგანან საზოგადოებრივი მოღვაწეები. იმ ღამით მე იქ ბოლომდე ვიყავი. თუ საღამოს 10 საათისათვის 10 ათას კაცამდე იყო, წვიმის შემდეგ ქალბატონები და მოხუცები, ადამიანების გარკვეული რაოდენობა, ახლომახლო მიეფარა. ამიტომ აქციის მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 5 ათას ადამიანამდე შემცირდა. შემდეგ, როცა წვიმამ არ გადაიღო და ზოგი სად აფარებდა თავს და ზოგი — სად, კიდევ გამოაკლდა ხალხი, — აღნიშნა ვლადიმერ ტაბაღუამ.

***— ბატონო ვლადიმერ, ანუ დარბევის წინა პერიოდში ნაწილი ხალხისა უკვე გასული იყო პარლამენტის წინა მოედნიდან, რადგან წვიმის გამო თავს აფარებდა ისეთ ადგილებს, სადაც წვიმა არ დაასველებდათ?***

— დიახ, ხალხი მიმოფანტული იყო და თავს ისეთ ადგილებს აფარებდა, სადაც თავის შეფარება შეიძლებოდა. ზოგი შეიძლება სახლშიც წავიდა. მაგალითად, მოხუცები, რომლებიც დასველდნენ და უკვე იმდენ ხანს დგომით ველარ ძლებდნენ, მაგრამ მთავარი ისაა, აქციის მონაწილეები ყოველთვის აცხადებდნენ, რა ინფორმაციასაც ისინი ღებულობდნენ. არცერთხელ არ გამოუცხადებიათ, ვადა თუ ეწურებოდათ და ღამის 12 საათის შემდეგ, იქ ყოფნა უკანონო იქნებოდა. მერიის წარმომადგენელი იქ რომ მოსულიყო და განეცხადებინა, თქვენ უნდა დატოვოთ აქაურობა, თორემ შემდგომ თქვენი ქმედება უკანონო იქნებაო, კრების თავმჯდომარე ამას აუცილებლად გამოაცხადებდა და შეეკითხებოდა ხალხს, მასას...

***— ბატონო ვლადიმერ, ტელევიზიებმა აჩვენეს მერიის წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ გააფრთხილეს...***

— შეიძლება ეს ჩუმად მოხდა და შეიძლება იმათაც არ თქვეს. თუ ეს ასე იყო, ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ აუცილებლად იტყოდნენ. თუმცა, ხალხი მაინც არ დათანხმდებოდა.

***— დაშლას არ დათანხმდებოდა?***

— დიახ, ხალხი დაშლას არ დათანხმდებოდა იმიტომ, რომ იქ წამოყენებული ჰქონდათ თავისი წინადადებები, რაც იცოდა მთავრობამ.

***— თქვენ სად იყავით იმ დროს, როცა დარბევა დაიწყო?***

— როცა დარბევა დაიწყო, მანქანაზე ორგანიზატორების გვერდით ვიდექი. იმ მანქანას იმ ღამით 30-ჯერ შემოვუარე, მაგრამ იქ არც ბენზინი მინახავს და არც ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები. მსგავსი იქ არაფერი ყოფილა. როდესაც დავინახე, დასარბევად მოდიოდნენ და კინოთეატრ „რუსთაველთან“ გაჩერდნენ, მე ქაშუეთის ეკლესიისკენ გადავინაცვლე. ამ დროს ძალიან დიდი წვიმა იყო და ეკლესიის პირდაპირ შესასვლელს შევაფარე თავი. პირველი შემოტევა რომ დაიწყო, სპეცრაზმელები რომ წამოვიდნენ და ე.წ. შეფიცულები მათ შეხვდნენ, ვითომდა პატარა წინააღმდეგობა გაუწიეს, ამ დროს ამოქმედდა ის მანქანა, რომელმაც ძლიერი ჭავლი გამოუშვა. იქ ვინ დარჩებოდა. გამოშვებული ჭავლი ადამიანეს რომ მოხვედროდა შეიძლებოდა ნებისმიერი ადამიანი წაექცია. ახლო მანძილზე რომ ყოფილიყო, შეიძლება მანქანა გადაეადგილებინა, წყლის ჭავლი იმხელა სიძლიერით მოდიოდა.

***— წინააღმდეგობაში რას გულისხმობთ, მომიტინგეებმა წინააღმდეგობა როგორ გაუწიეს?***

— წინააღმდეგობა იმით გაუწიეს, რომ მანქანის ირგვლივ რკინის ღობით ჰქონდათ გადაკეტილი და ვითომ სპეცრაზმელებს დასარბევად შიგნით არ უშვებდნენ.

***— რკინის ღობეზე ჯოხებს რომ აბრახუნებდნენ?***

— ჰოდა ყვიროდნენ, რომ დასარბევად არ შემოსულიყვნენ. ამ დროს ამოქმედდა წყლის მანქანა, დაიწყო ტყვიების სროლა და რა ვიცი, კიდევ რა ისროლეს. სროლა რომ დაიწყო და სპეცრაზმელები შიგნით შემოცვივდნენ, მე უკვე ქვევით ჩავედი ეკლესიაში. იქიდან იქ მიმდინარე მოვლენებს ცოტა ხანს თვალი ვადევნე, მაგრამ შემდეგ, როცა დავინახე, ხალხს ხელკეტებით უმოწყალოდ დაუწყეს ცემა, იქაურობას გავეცალე, მაგრამ გზა გადაკეტილი იყო და გასასვლელი ვერსად ვნახე. ამიტომ ეკლესიის უკან, ეზოს მხარეს გავედი. იქ მაღალი ღობე ყოფილა, მაგრამ ამ მოხუცმა კაცმა იმ ღობეზე შევდექი და იქიდან გადავხტი. შემდეგ ფეხით ხიდამდე ჩავედი. თუმცა, ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რაც ახლა ვრცელდება. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ოპერატიულ საქმიანობაში გარკვეულია, შეიძლება დაიჯეროს, რასაც ახლა ავრცელებენ. ახლა გვიჩვენებენ, თითქოს სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა, იყო შეიარაღება, უნდა ჩამოსულიყვნენ რუსეთის სპეცრაზმელები, უნდა მომხდარიყო 300 კაცის დახოცვა, უნდა შეჭრილიყვნენ საზოგადოებრივ მაუწყებელში და მერიის შენობაში, უნდა გაეძარცვათ მაღაზიები, უნდა აეფეთქებინათ მანქანები და ა.შ. როგორც ყოფილმა ოპერატიულმა მუშაკმა, მინდა ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გამოვთქვა — ამ ვერსიას გვთავაზობს ხელისუფლება და მთავრობა. გვეუბნებიან, წარმოიდგინეთ, ეს იმართება რუსეთიდან, ამ აქციის ორგანიზატორები ამას აწყობდნენ, უნდოდათ სახელმწიფო გადატრიალება. ვისაც ოპერატიული საქმიანობის ანი-ბანი ესმის ჩნდება კითხვა, რომელიც მინდა დავუსვა ხელისუფლებას, მთავრობას და ჟურნალისტებს, ვინც ამას ავრცელებს. თუ მათ ოდნავ მაინც გააჩნიათ ანალიზის უნარი (იგივე კითხვა მინდა დავუსვა პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, რომლებიც ერთსა და იმავე ხმაზე მღერიან, რიგორც ხელისუფალნი. ის მათი მოსაზრებაა, მაგრამ მე ჩემი მოსაზრება გამაჩნია, როგორც ოპერატიულ მუშაკს, როგორც პოლიციის ყოფილ პოლკოვნიკს) მიპასუხონ, თუ მსგავსი ინფორმაცია ჰქონდათ, შესაბამისად რატომ არ იმოქმედეს. როდესაც ჩანაწერებს უჩვენებენ, იქ აწერია თარიღები: 2011 წლის 4 აპრილი, 2011 წლის 8 მაისი, 2011 წლის 19 მაისი. თურმე 4 აპრილიდან 19 მაისამდე ხელისუფლებამ, უშიშროების სამინისტრომ და შს სამინისტრომ იცოდა, რომ მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, შეიარაღებაში იყო რაგატკები (სისულელეა), ხელკეტები (როდის იყო ხელკეტებით სახელმწიფო გადატრიალებას ახდენდნენ, მაგრამ ვთქვათ, შეარაღებაა) და, ვთქვათ, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები. ძალიან მინდა დავიჯერო, რომ რასაც მეუბნებიან, მართალია, მაგრამ როგორ დავიჯერო, როცა შენ იცი, 4 აპრილიდან სახელმწიფო გადატრიალება მზადდება და არავითარ ზომებს არ ღებულობ? რატომ არ მიიღო ზომები სახელმწიფომ, კერძოდ კი, უშიშროების სამინისტრომ და შს სამინისტრომ მოსალოდნელი დანაშაულის აღსაკვეთად? რატომ არ აიყვანა ის პირები, რომლებიც ამას ამზადებდნენ 4 აპრილს, 8 მაისს, 19 მაისს? რატომ გაუშვეს ეს ხალხი იქ, სადაც 300 კაცი უნდა დაეხოცათ, უნდა დაეხოცათ სპეცრაზმელები, პოლიციელებისთვის ცეცხლი უნდა გაეხსნათ? რას ელოდებოდნენ, გეკითხებით, თუ ეს არ არის პროვოკაცია თუ ეს არ არის მოგონილი ზღაპარი, როგორც მას არქმევენ „რუსული ზღაპარი“? მე ამას დავიჯერებდი და მივესალმებოდი, როგორ დღევანდელი შს სამინისტროს კარგ ოპერატიულ საქმიანობას, ვიტყოდი, აი, მათ აღკვეთეს სახელმწიფო გადატრიალება და უბედურება საქართველოში-მეთქი, მაგრამ როგორ დავიჯერო მათი, როცა 4 აპრილიდან 19 მაისამდე ხელს უწყობდნენ, რათა მომზადებულიყვნენ შეიარაღებულიყვნენ ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებით? შეიარაღება ჰქონიათ თურმე. გარდა ამისა, თითქოს 4 ათასი რუსული სპეცრაზმელიც უნდა შემოსულიყო, ოღონდ საიდან შემოვიდოდნენ, არ ვიცი. ასე „შემზადებული ხალხი“, რატომ მიუშვეს პარლამენტის შენობასთან, რატომ მიუშვეს ტელევიზიასთან, თუ რასაც ამბობენ, ყველაფერი მომზადებული იყო და ამათაც ყველაფერი იცოდნენ. იწყება 21 მაისს შენ 19 მაისამდე ყველაფერი იცი, ყველაფერი გაშიფრული გაქვს. შე დალოცვილო, 19 მაისამდე ყველაფერი რომ გაშიფრე, რატომ არ მოქმედებ, რა გინდა, რას უყურებ, მაინცდამაინც უნდა დახოცო? რამდენი ადამიანია დახოცილი და რამდენი დაკარგული, რამდენი ნაცემი.

***— ათეულობით ადამიანია დაკარგული...***

— ვერ გავიგე, აქციის მონაწილეები არიან რუსეთის, რუსეთიდან შემოვიდნენ თუ რა? ვერ გავიგე. რუსეთის სცენარის განხორციელებას ხელს უწყობ შენ, რომ დაიხოცოს ქართველი ხალხი. ეს მაღელვებს მე.

***— თქვენ ბრძანდებით შს ორგანოების ყოფილი თანამშრომელი. ყოფილი ოპერატიული მუშაკი და ადვოკატი, ამ თვალსაზრისით ხელისუფლების მოქმედებას როგორ აკვალიფიცირებთ?***

— თუ რუსეთის მიერ ამგვარი რამ იგეგმებოდა, ეს არის სპეციალურად რუსეთის გეგმის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა. თუ იცი ხალხის საწინააღმდეგოდ, რაღაც კერძო დაინტერესების გამო, დანაშაული მზადდება და არ ღებულობ შესაბამის ზომებს, ე.ი. შენ საქმე მიიყვანე იქამდე, რომ დანაშაული დასრულებულიყო, როცა შეგეძლო 4 აპრილს აღგეკვეთა, 2 მაისს აღგეკვეთა. რა პრობლემა იყო ბიწაძის და სხვების დაპატიმრება, თუ რუსული რაზმები მომზადებული იყვნენ? ეს არის ხელშეწყობა. თუ ასე არ არის, მაშინ რით გაიმართლებენ თავს? თითქოს რესტორან „ზღაპარში“ იგეგმება და შტაბი განიხილავს, როგორ მოხდეს შეტევა. ეს არის სისულელე.

***— ბოდიში, მაგრამ რესტორანში მგონი შეტევაზე არ იყო საუბარი.***

— უჩავას ალაპარაკებენ. არიან ადვოკატები მანანა კობახიძე და ნათია კორკოტაძე, რომლებიც პროკურატურას მოდულის შენობაში 2 საათის განმავლობაში დაკავებული ჰყავდა იმისათვის, რომ გიორგი უჩავას დაცვაზე უარი განაცხადეს. თავდაპირველად უჩავას არ უთქვამს, ვაღიარებო, მაგრამ შემდგომში ადვოკატები რომ დაიბარეს და ბრალი უნდა წაეყენებინათ, უჩავამ პროკურორისა და გამომძიებლების წინაშე განუცხადა ადვოკატებს, მე უნდა ვაღიარო ჩემი დანაშაულიო. მაშინ ადვოკატებმა მოთხოვეს გამომძიებლებს, მოგვეცით საშუალება, ცალკე გავესაუბროთო. ადვოკატები უჩავას ცალკე გაესაუბრნენ და დაინახეს, რომ კაცი ვერ არის, შეცვლილია. თუ გახსოვთ, ოქრუაშვილი როგორ იყო შეცვლილი, როგორ დაამუშავეს. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა უჩავაც. ჩემს ცოლ-შვილს გაანადგურებენ, მე უნდა მივცე აღიარებითი ჩვენება, რომ ბიწაძე ასე და ისე გეგმავდაო, ანუ უჩავამ ის თქვა, რაც ჩაწერილი იყო. როდესაც ადვოკატებმა ცალკე შეხვედრის შემდეგ დაწერეს განცხადება, თვითაცილებას ვაკეთებთო, პროკურორმა და გამომძიებელმა თქვეს, თუ აიცილებთ, ნახავთ, როგორ გახვალთ აქედანო.

***— ე.ი. ადვოკატებს ავალდებულებდნენ, რომ ყველა შემთხვევაში დაეცვათ უჩავა.***

— დიახ, ამ დროს ადვოკატები აცხადებენ, რომ დაკავებულსა და დამცველებს შორის თანხმობა არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვალდებული ვართ, კანონის თანახმად, როცა შეუთავსებლობაა, მის დაცვაზე უარი ვთქვათ. ამ დროს მათ უთხრეს, თქვენ ხელს უშლით გამოძიებას და ვნახავთ, აქედან როგორ გახვალთო.

***— პროკურორი და გამომძიებლები ვინ იყვნენ?***

— არ ვიცი. თვითონ უნდა განაცხადონ, ვინ იძიებს უჩავას საქმეს. ისინი ადვოკატებს ემუქრებოდნენ. ამ დროს ადვოკატი ნათია კორკოტაძე ცუდად გახდა. გამოიძახეს სასრაფო. სასწრაფო რომ მივიდა, ექიმებმა თქვეს, კორკოტაძის საავადმყოფოში გადაყვანა იყო საჭირო. გამოძიებლებმა უარი განუცხადეს, არა, აქ აღმოუჩინეთ დახმარებაო. იმის უფლებაც არ მისცეს, საავადმყოფოში გადეყვანათ.

***— ე.ი. გამომძიებელმა და პროკურორმა ადვოკატებს თავისუფლება აღუკვეთეს...***

— დიახ, 2 საათის განმავლობაში მათ საშუალება არ მისცეს, მოდულის შენობიდან გამოსულიყვნენ. ადვოკატებმა უარი რომ განაცხადეს, ხელწერილი მიაწოდეს, ხელი მოაწერეთ, აქ რაც მოხდა, ამას არ გაახმაურებთო. ადვოკატებმა ხელი არ მოაწერეს. ამიტომ ამის შემდეგ კიდევ დატოვეს იქ. იმსჯელეთ, უჩავას აღიარებითი ჩვენება რამდენად რეალურია. ამას თავი რომ დავანებოთ, ყველაფერი რეალური რომ იყოს, მე ვსვამ კითხვას, ამ ხელისუფალთან და არსებული პროპაგანდისტული მანქანის წინაშე, თუ 4 აპრილიდან 19 მაისამდე ეს ყველაფერი მზადდებოდა, რატომ არ მიიღეს პრევენციული ზომები და რატომ არ აღკვეთეს ეს ყველაფერი? რატომ მიიყვანეს 26 მაისის კატასტროფამდე, ადამიანების ცემა-ტყეპამდე და სიკვდილამდე? ამიტომ ყველაფერი ეჭვს ბადებს. ყველა გადაცემა, რასაც ესენი აკეთებენ, არის დაუსაბუთებელი და, როგორც იტყვიან, მართლაც შეთითხნილი. დღევანდელი ტექნიკა ამის საშუალებას იძლევა. თუ მე მტყუანი ვარ, მაშინ უნდა დამარწმუნონ. რატომ არ არის ოპერატიული პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიება გატარებული, რომ 4 აპრილს 8 მაისს, 19 მაისს აღკვეთილიყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და ადამიანების ცემა-ტყეპის ფაქტები არ ყოფილიყო?

***— მე მგონია, რომ იმდენად ეზიზღებათ მათი ოპონენტები, 20 მაისს აღკვეთდნენ თუ 19-ში, მაშინაც რაღაც უბედურებას დაატრიალებდნენ.***

— უბედურებას რომ დაატრიალებდნენ, ცხადია. ასეთი ქცევა მათთვის დამახასიათებელი რომ არის, ეს ჩვენ 2007 წლის 7 ნოემბერს დავინახეთ.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; სახაზო ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

**განცხადებები**

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# ცხინვალი ისევ უმაღლესშია

**სპარტაკი — ჩიხურა 2:1**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი**

1:0 ზ.მეტრეველი (8), 2:0 ბუზალაძე (27), 2:1 გვეტაძე (61)

90-ე წუთზე მგელაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**სპარტაკი:** ნ.დაუშვილი, ბოიომო, მანჩხავა, ჭაფოძე, მგელაძე, კილასონია (გ. ალავიძე 74), თ.შონია (მ.ჯიშკარიანი 85), დეკანოიძე, მამუჩიშვილი, ბუზალაძე (კლოვისი 49), ზ.მეტრეველი

**ჩიხურა:** ბეგაშვილი, მაჭარაშვილი (თ.მეტრეველი 79), ლ.ჩაგელიშვილი, გვეტაძე, ზივზივაძე, ზაბახიძე, ა.ივანიშვილი (დემეტრაშვილი 82), ქამუშაძე, ქიმაძე, ა.ალავიძე (მუმლაძე 46), დ.ჩაგელიშვილი

ახალმა რეგლამენტმა ცხინვალის „სპარტაკს" სულზე მოუსწრო. უკვე პირველ ლიგაში გავარდნილი გუნდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ახალი რეგლამენტის თანახმად, უმაღლესში დასარჩენად საჩხერის „ჩიხურას" ერთმატჩიან პლეიოფში შეხვდა, 2:1 დაამარცხა.

მაყურებელმა ორი, სრულიად განსხვავებული ტაიმი იხილა. „სპარტაკი" და „ჩიხურა", თანაბარი დონის გუნდები გამოჩდნენ, მაგრამ ცხინვალელთა ცოტა მეტმა გამოცდილებამ და კლასმა, მატჩის ბედი მათსავე სასარგებლოდ გადაწყვიტა. საჩხერლებს სულ ცოტა დააკლდათ, თამაში დამატებით დროში გადაეყვანათ — შეხვედრის ბოლო წამებზე, „სპარტაკის" კართან კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი ლევან ჩაგელიშვილმა დაჰკრა და ძელს მცირედით ააცილა.

საერთოდ, მე-2 ტაიმის სათამაშო სურათის მიხედვით, სამართლიანობას რომ ეზეიმა და იმერლებს გათანაბრება მოეხერხებინათ, ნამდვილად ალალი იქნებოდა. ტრიბუნებზე მყოფმა ათასამდე მაყურებელმა მართლაც საინტერესო დაპირისპირება იხილა.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, რომ მაყურებელი „სპარტაკს" დიდი ანგარიშით მოგებას უწინასწარმეტყველებდა. ზვიად მეტრეველი საჩხერელთა საჯარიმოში მაღალი ტრაექტორიით ჩაწოდებულ ყველა ბურთს იგებდა. ცხინვალელთა მეგოლემ, ერთხელ (მე-8 წუთზე) თავად შეძლო გატანა, მეორედ კი (27-ე წუთზე), მისი თავურის შემდეგ, კიპერის მიერ მოგერიებულს ილია ბუზალაძემ დაამატა და „სპარტაკი" 2:0 დაწინაურდა.

ორივე ზემოთ ნახსენებ საგოლე ეპიზოდში, ზვიად მეტრეველი ირაკლი გვეტაძის შეცდომებით სარგებლობდა. თუმცა, სწორედ საჩხერელთა ეს ცენტრალური მცველი გახდა მე-2 ტაიმში თავისი გუნდის საუკეთესო მოთამაშე. იგი თამამად ერთვებოდა „ჩიხურას" შეტევებში და ერთ-ერთი ასეთი სოლო-რეიდისას, მისგან ყველა თანაგუნდელისთვის გაკეთებულ გადაცემას რომ ელოდა, დაახლოებით 25 მეტრიდან ისეთი ზუსტი და ძლიერი „დააქუხა", მაყურებელი დიდხანს ილაპარაკებს ამ გოლზე.

გვეტაძის გოლის შემდეგ მატჩის დამთავრებამდე 30 წუთი იყო დარჩენილი, რაც საკმარისი დროა საიმისოდ, რომ ფრუიძის შეგირდებს გარდატეხა შეეტანათ. გარდატეხა, რომ იტყვიან, მოხდა, მაგრამ საჩხერელთა სასარგებლო შედეგი ვერ გამოიღო. არადა, 73-ე წუთზე, მინდორზე შესვენების დამთავრებისთანავე შემოსული თორნიკე მუმლაძე, „სპარტაკის" კიპერთან პირისპირ დარჩა და ბურთს საგოლედაც მოუქნია, მაგრამ იმდენად სუსტად, რომ ბურთი მეკარის იოლი ნადავლი გახდა.

პირველლიგელები კვლავ განაგრძობდნენ მეტოქის კარისაკენ უშედეგო შეტევებს, აქეთ კი, ტიერი კლოვისი სწრაფი გარღვევა გამოეპარათ. „ჩიხურას" საჯარიმოში შესული ცხინვალელთა კოტდივუარელი ლეგიონერი, მცველთან ჭიდილში მინდორზე აღმოჩნდა და არბიტრმა ხელი პენალტის ნიშნულისაკენ გაიშვირა. უნაკლო დარტყმა და საქმეც მოთავებული იქნებოდა. ნიკა მგელაძემ ზუსტად კი დაარტყა, მაგრამ გიორგი ბეგაშვილმა დამრტყმელს კუთხე გამოუცნო და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ლაშა სილაგავამ ძირითად დროს 4 წუთი დაამატა. კომპენსირებულ დროში, მოგერიებული პენალტით გულმოცემული „ჩიხურა" მეტოქის ნახევარს არ მოშორებია და ბოლოს, სტატიის დასაწყისში ნახსენები მომენტიც შექმნა.

საერთოდ, საჩხერლებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს და მათი სახით უმაღლეს ლიგას ნამდვილად სიმპათიური შენაძენი ექნებოდა.

**მატჩის შემდეგ**

**ბადრი კვარაცხელია, „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი:**

— ძალიან ადრე ჩათვალეს ბიჭებმა თამაში მოგებულად და თავადაც ნახეთ, როგორ ითამაშეს მე-2 ტაიმში. ზუსტად ამ გარემოებაზე გავამახვილე შესვენებისას ყურადღება, რომ მეტოქე სათანადოდ შეეფასებინათ. კი, არ გვყავდა სრული შემადგენლობა, მაგრამ ეს ჩვენი მოწინააღმდეგის დამსახურებას სრულიადაც არ აკნინებს — „ჩიხურამ"□ დიდი თავდადებით იბრძოლა და შეეძლო სამაგალითოდ დავესაჯეთ.

**სოსო ფრუიძე, „ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი:**

— ჩვენი გუნდიდან ორ-სამ კაცს თუ უთამაშია ეროვნულ სტადიონზე, დანარჩენებმა კი, ეს ატმოსფერო ცხოვრებაში პირველად შეიგრძნეს. მეტოქე ჩვენზე მეტად სწრაფად თამაშობდა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს უმაღლეს ლიგაში თამაშის სირთულეზე. როცა პირველ ლიგაში მოკლებული ხარ ასეთ თამაშებში მონაწილეობას, რთულია გუნდის გადაწყობა. ჩვენ მე-2 ტაიმში შევძელით ჩვენი შესაძლებლობების ჩვენება — ფლანგის მცველებს უფრო აქტიური თამაში მოვთხოვეთ და მგონი, გაამართლა. იღბალი ჩვენს მხარეს რომ ყოფილიყო, ალბათ, თამაშს, მინიმუმ, დამატებით დროში გადავიყვანდით.

# არმიამ ყველაფერი მოიგო

**არმია — შსს 79:63**

(25:18, 23:14, 12:16, 19:15)

**არმია:** ტუღუში (25), ბოისა (6), საყვარელიძე (11), ბაბიაშვილი (2), შარაბიძე (6); ბაქრაძე (2), მინაშვილი (9), პირველაშვილი (9), ლევან მოსეშვილი (3), ათანელიშვილი (2), ათუაშვილი, ბ.ბერიშვილი (4)

**შსს:** ირაკლი ბერიშვილი (6), ნიკოლაძე (11), ლაფანაშვილი (11ქ. 12მ.), ტუჯანი-ტალბა (12), იმნაძე (12); დავით ბარბაქაძე (1), დავით დეკანოიძე (3), წივწივაძე (5), ტომარაძე (2)



„არმიამ", შექმნის პირველივე წელს, ქვეყნის ჩემპიონატისა და თასის მოგების შემდეგ, სუპერთასზე, ეროვნული თასის ფინალისტი შსს დამაჯერებელი ანგარიშით, 79:63 დაამარცხა და 2010-11 წლების საკალათბურთო სეზონი 3 პრიზით დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ „არმიას" მონაწილეობა არ მიუღია დუდუ დადიანისა და ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალში, თორემ შანსი ჰქონდა, რომ ხუთივე ტურნირი მოეგო.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად არმიელთა მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი დაასახელა. საუკეთესო მწვრთნელებისგან განსხვავებით, 2010-11 წლების საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენად, ჩატარდა გამოკითხვა ჟურნალისტებს, მწვრთნელებსა და მატჩების კომისრებს შორის და პირველი 3 ადგილი ასე გადანაწილდა: 1. კოტე ტუღუში (არმია), 2. გიორგი შარაბიძე (არმია), 3. ლაშა ფარღალავა (სოხუმი).

რაც შეეხება ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთელის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, უკანახაზელ ზვიად მიქაძის სახელობის პრიზს, რომელიც ახალგაზრდა კალათბურთელისთვის იყო დაწესებული, მისი პირველი მფლობელი გიორგი შარაბიძე გახდა.გეტყვით, რომ ზვიად მიქაძის სახელობის პრიზი, რომელიც მისმა მშობლებმა და მეგობრებმა დააწესეს, ტრადიციული გახდება. პრიზი მის მფლობელს სამუდამოდ გადაეცემა, ხოლო ყოველი მომდევნო სეზონისთვის ახალი დამზადდება.

რაც შეეხება შეხვედრას. მართალია, ორივე გუნდი შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა, მაგრამ შსს-ს უფრო დიდი დანაკლისი ჰქონდა. არმიელებმა ტრავმირებული ცენტრალური თავდამსხმელი, დავით უგრეხელიძე მოისაკლისეს, ხოლო შსს-ს, ტრავმების გამო, 2 წამყვანი კალათბურთელი, უკანახაზელი ტროი კოტონი და ფორვარდი გიორგი მარკოიშვილი არ ჰყავდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა „არმიას" უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით გუნდის კაპიტანი კოტე ტუღუში აქტიურობდა, რომელმაც პირველ ტაიმში 18 ქულა დააგროვა. შსს ბევრს ეცადა, მეორე მეოთხედში ანგარიშში სხვაობა რამდენჯერმე ერთ ქულამდეც კი დაიყვანა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

აღსანიშნავია, რომ „არმია" მთელი შეხვედრის განმავლობაში ლიდერობდა, როცა მე-4 მეოთხედში ანგარიშში სხვაობამ ოცდაერთ ქულას (69:48) მიაღწია, ნათელი გახდა, რომ „არმია" სუპერთასის დამთმობი არ იყო.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი, 25 ქულა, „არმიას" უკანახაზელმა, კოტე ტუღუშმა დააგროვა და დაამტკიცა, რომ საუკეთესოდ ტყუილად არ დაუსახელებიათ.

შსს-ს მხრიდან ყველაზე შედეგიანები, ცენტრალური თავდამსხმელი დავით იმნაძე და მძიმე ფორვარდი ჟოლივეტ ტუჯანი-ტალბა იყვნენ, რომელთა ანგარიშზეც 12-12 ქულაა.

მართალია, საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ სეზონი გრძელდება, წინ საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების მატჩებია. მოგეხსენებათ, ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ელის, რომლისთვის მზადებას ოცდაოთხ ივლისს ავსტრიაში შეკრებით იწყებს.

# კაროლინ ვოზნიაცკი: ბულონის ტყეში დარჩენას არ ვაპირებ

ქალთა შორის საფრანგეთის ღია პირველობის წლევანდელ ტურნირს, ჯერ მეორე ნომრად განთესილი კიმ კლაისტერსი გამოაკლდა, შემდეგ კი მარცხი სადღეისოდ პლანეტის ნომერ პირველმა ჩოგანმა კაროლინ ვოზნიაცკიმ განიცადა. „როლან გაროსის" მესამე წრეში, დანიელმა მოთამაშემ სლოვაკ დანიელა ჰანტუჩოვასთან 1:6, 3:6 წააგო და კვლავინდებურად ვერ ახერხებს რომელიმე დიდი სლემის ტურნირის მოგებას. ვოზნიაცკი მალე უიმბლდონის შეჯიბრებაში ჩაერთვება და ინგლისში მას უკეთ გამოსვლის იმედი აქვს.

— *რით ახსნით მარცხს?*

— დანიელამ ძალიან ძლიერად ითამაშა. მან მატჩის ნებისმიერ მომენტში იცოდა, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა და მოგების შანსი არ დამიტოვა. მე კი ისლა დამრჩენია, მეტი ვივარჯიშო და თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო.

— ***ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, გრუნტის კორტზე შეტევის წარმოება გიჭირთ.***

— ეს ჩემი საყვარელი საფარი არაა. ამის მიუხედავად, □„როლან გაროსზე"□ გაცილებით უკეთ გამოსვლის იმედი მქონდა. გავიმეორებ, დანიელამ ფანტასტიკურად ითამაშა და თუკი სხვა მატჩებიც ასეთ მაღალ დონეზე ჩაატარა, ნებისმიერი ფავორიტისთვის მისი ძლევა ძალიან პრობლემატური იქნება.

— ***წაგებამ გული ძალიან დაგწყვიტათ?***

— მარცხი ჩოგბურთის შემადგენელი ნაწილია. მისგან დაზღვეული არავინაა. გუშინ კიმ კლაისტერსი დამარცხდა, დღეს მე ჩამოვშორდი პირველობისთვის ბრძოლას. რასაკვირველია, სამწუხაროა, როდესაც აგებ, მით უმეტეს, პლანეტის ნომერ პირველი ჩოგბურთელის რანგში. რაც მოხდა, მოხდა, ხელების ჩამოშვების დრო არაა - წინ მრავალი ტურნირი მელის.

— ***მალე უიმბლდონის ტურნირი დაიწყება. როგორ შეაფასებთ საკუთარ შანსს ბალახის საფარის კორტზე ჩასატარებელ სადიდსლემო ასპარეზობაზე?***

— უიმბლდონზე გამოსვლას მოუთმენლად რამდენიმე ფაქტორის გამო ველი. ჯერ ერთი, ამ ტურნირზე ყოველთვის ბრწყინვალე ატმოსფეროა. უიმბლდონში თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ. შეჯიბრების მსვლელობის დროს ოჯახის წევრებთან ერთად განცალკევებულ სახლში ვცხოვრობ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ლონდონის გარეუბანში კარგად გამოვალ. თანაც, ბალახის საფარიან კორტზე თამაში გაცილებით უფრო მომწონს და გამომდის, ვიდრე გრუნტზე.

— ***საფრანგეთის ღია პირველობიდან ასე ნაადრევად გამოთიშვას არ გეგმავდით. პარიზში კიდევ რამდენ ხანს დარჩებით?***

— არ მიყვარს იმ ტურნირზე მაყურებლის როლში დარჩენა, რომლიდანაც გამოვვარდი. ამიტომაც ბულონის ტყეში დარჩენას არ ვაპირებ. შესაძლოა, რამდენიმე დღით დანიაში გავემგზავრო, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მექსიკა-ეკვადორი | 1:1 |
| კოსტა რიკა-ნიგერია | 1:0 |
| გერმანია-ურუგვაი | 2:1 |
| სალვადორი-ჰონდურასი | 2:2 |

**იტალია. თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| ინტერი-პალერმო | 3:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-სიენა | 1:0 |
| ასკოლი-ტრიესტინა | 3:0 |
| ვარეზე-პიაჩენცა | 1:0 |
| გროსეტო-ატალანტა | 1:1 |
| სასუოლო-რეჯინა | 3:2 |
| ტორინო-პადოვა | 0:2 |
| ჩიტადელა-პესკარა | 3:2 |
| ვიჩენცა-ემპოლი | 1:1 |
| ლივორნო-ფროსინონე | 2:1 |
| ნოვარ-მოდენა | 2:3 |
| პორტუგრუარო-კროტონე | 2:3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა ბ-სალამანკა | 5:1 |
| ვილიარეალი ბ-უელვა | 2:0 |
| კორდობა-ლას პალმასი | 2:0 |
| ნუმანსია-ხირონა | 4:0 |
| ტარაგონა-ალბასეტე | 2:1 |
| ალკორკონი-ბეტისი | 3:3 |
| გრანადა-ელჩე | 3:3 |
| კარტახენა-რაიო | 2:4 |
| უესკა-ვალიადოლიდი | 1:0 |
| ხერესი-სელტა | 2:1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| არლე-სოშო | 1:3 |
| ბორდო-მონპელიე | 2:0 |
| ბრესტი-ტულუზა | 0:2 |
| ვალანსიენი-ნიცა | 2:1 |
| კაენი-მარსელი | 2:2 |
| ლორიენი-ოსერი | 1:2 |
| მონაკო-ლიონი | 0:2 |
| ნანსი-ლანსი | 4:0 |
| სენტ ეტიენი-პსჟ | 1:1 |

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 38 | 21 | 13 | 4 | 68:36 | 76 |
| 2.მარსელი | 38 | 18 | 14 | 6 | 62:39 | 68 |
| 3.ლიონი | 38 | 17 | 13 | 8 | 61:40 | 64 |
| 4.პსჟ | 38 | 15 | 15 | 8 | 56:41 | 60 |
| 5.სოშო | 38 | 17 | 7 | 14 | 60:43 | 58 |
| 6.რენი | 38 | 15 | 11 | 12 | 38:35 | 56 |
| 7.ბორდო | 38 | 12 | 15 | 11 | 43:42 | 51 |
| 8.ტულუზა | 38 | 14 | 8 | 16 | 38:36 | 50 |
| 9.ოსერი | 38 | 10 | 19 | 9 | 45:41 | 49 |
| 10.სენტ-ეტიენი | 38 | 12 | 13 | 13 | 46:47 | 49 |
| 11.ლორიანი | 38 | 12 | 13 | 13 | 46:48 | 49 |
| 12.ვალანსიენი | 38 | 10 | 18 | 10 | 45:41 | 48 |
| 13.ნანსი | 38 | 13 | 9 | 16 | 43:48 | 48 |
| 14.მონპელიე | 38 | 12 | 11 | 15 | 32:43 | 47 |
| 15.კანი | 38 | 11 | 13 | 14 | 46:51 | 46 |
| 16.ბრესტი | 38 | 11 | 13 | 14 | 36:43 | 46 |
| 17.ნიცა | 38 | 11 | 13 | 14 | 33:48 | 46 |
| 18.მონაკო | 38 | 9 | 17 | 12 | 36:40 | 44 |
| 19.ლანსი | 38 | 7 | 14 | 17 | 35:58 | 35 |
| 20.არლე | 38 | 3 | 11 | 24 | 21:70 | 20 |

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

**პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| ექსელსიორი-ჰელმონდი | 4:2 |
| ვენლო-ზვოლე | 2:2 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ზენიტი-სპარტაკი | 3:0 |
| კრ.სოვეტოვი-როსტოვი | 2:2 |
| ცსკა-ყუბანი | 1:1 |
| კრასნოდარი-დინამო | 0:1 |

**სატურნიო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:7 | 19 |
| 2.ზენიტი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:11 | 19 |
| 3.დინამო | 11 | 5 | 4 | 2 | 15:13 | 19 |
| 4.ანჟი | 11 | 5 | 4 | 2 | 10:8 | 19 |
| 5.ლოკომოტ. | 11 | 5 | 3 | 3 | 17:10 | 18 |
| 6.ყუბანი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:9 | 18 |
| 7.რუბინი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:10 | 17 |
| 8.სპარტაკი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:14 | 16 |
| 9.ტომი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:16 | 13 |
| 10.როსტოვი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:14 | 12 |
| 11.ტერეკი | 11 | 3 | 3 | 5 | 7:12 | 12 |
| 12.კრასნოდ. | 11 | 2 | 5 | 4 | 8:14 | 11 |
| 13.ვოლგა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:8 | 10 |
| 14.ამკარი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:14 | 9 |
| 15.ნალჩიკი | 11 | 1 | 6 | 4 | 10:14 | 9 |
| 16.კრ.სოვეტ. | 11 | 1 | 5 | 5 | 7:15 | 8 |

**ავსტრია. თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| რიდი-ლუშტენაუ | 2:0 |

**შვეიცარია. თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| სიონი-ქსამაქსი | 2:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ვისლა-პოლონია | 0:2 |
| ბელხატოვი-კრაკოვია | 1:0 |
| გურნიკი-ვიძევი | 4:0 |
| ლეგია-ბიტომი | 4:0 |
| ლეხი-კორონა | 4:0 |
| ლეჩნა-ზაგლებიე | 1:2 |
| შლიონსკი-არკა | 5:0 |
| იაგელონია-რუხი | 2:1 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| ლუნგბიუ-ოდენსე | 2:0 |
| ნორდსიელანდი-მიდტიულანდი | 0:0 |
| რანდერსი-ესბიერგი | 2:2 |
| სონდერიისკე-ბრონდბიუ | 0:2 |
| ჰორსენსი-სილკებორგი | 1:2 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ალესუნდი-ვიკინგი | 2:0 |
| სონგდალი-ვალერენგა | 0:1 |
| სტარტი-სტაბეკი | 2:4 |
| ჰაუგესუნდი-მიოლდე | 5:0 |
| ტრომსო-ბრანი | 4:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ვაასა-მარიეჰამნი | 1:0 |
| ჰიკი-ჯჯკ | 6:2 |
| იარო-ინტერი | 1:3 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| პორტლენდი-ვაშინგტონი | 2:3 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(პ)-გრემიო | 0:1 |
| ბაია-ფლამენგო | 3:3 |
| კორინთიანსი-კურიტიბა | 2:1 |
| კრუზეირო-პალმეირასი | 1:1 |
| ატლეტიკო(გ)-ფლუმინენსე | 0:1 |
| ვასკო-ამერიკა | 3:0 |

**არგენტინა. კლაუსურა**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე | 0:2 |
| ბოკა-ოლდ ბოიზი | 1:0 |
| ტიგრე-ველეჟი | 2:1 |
| ოლიმპო-რივერ პლეიტი | 0:0 |

### პლაჟის ფეხბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-თურქეთი | 4:3 |
| შვეიცარია-იტალია | 1:4 |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები. ქალები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-კანადა | 66:59 |
| ბელგია-ისრაელი | 80:51 |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 79:62 |
| ლატვია-პოლონეთი | 60:59(ოტ) |
| ჩეხეთი-რუსეთი | 70:62 |
| გერმანია-ჰოლანდია | 65:46 |

### ფრენბურთი

**მსოფლიო ლიგა**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-გერმანია | 3:2 |
| პორტუგალია-ფინეთი | 3:1 |
| საფრანგეთი-იტალია | 0:3 |
| არგენტინა-სერბეთი | 3:0 |

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ბელგია-სლოვენია | 1:3 |
| თურქეთი-ბელარუსი | 3:0 |
| დ.ბრიტანეთი-სლოვენია | 0:3 |

### ჩოგბურთი

**როლან გაროსი. ქალები**

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-სკიავონე | 3:6;6:2;4:6 |
| ბარტოლი-დულკო | 7:5;6:0 |
| კუზნეცოვა-ჰანტუჩოვა | 6:7;6:3;6:2 |
| კვიტოვა-ლი | 6:2;1:6;3:6 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| მონტანესი-ფონინი | 6:4;4:6;6:3;3:6;9:11 |
| ფედერერი-ვავრინკა | 6:3;6:2;7:5 |
| ჯოკოვიჩი-გასკე | 6:4;6:4;6:2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ზაქარია ფალიაშვილის იუბილე კონცერტით აღინიშნება




ეკა ირემაშვილი

31 მაისს დიდი ქართველი კომპოზიტორის, ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორი თბილისის მერიაა და იგი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში შედგება.

ზაქარია ფალიაშვილი ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლად არის მიჩნეული. მისი მამა ეკლესიის გუნდის მომღერალი იყო, მუსიკოსები იყვნენ მისი 4 ძმა და და. ზაქარია რამდენიმე ეკლესიის გუნდში მღეროდა, მოგვიანებით კი თბილისში ლადო აღნიაშვილის გუნდში განაგრძო მოღვაწეობა. მან მოსკოვში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა გუნდი და მართავდა ქართულ ხალხური მუსიკის საღამოებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქართველმა კომპოზიტორმა დაიწყო ინტენსიური შემოქმედებითი, პედაგოგიური და საშემსრულებლო მოღვაწეობა, დაარსა გუნდი და ორკესტრი, განაგრძობდა ხალხური სიმღერების შეკრებას და დამუშავებას, გამოსცა ორი კრებული, დაიწყო მუშაობა ოპერაზე „აბესალომ და ეთერი". კომპოზიტორის მემკვიდრეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოპერებს. მან შექმნა ქართული ოპერის სამი განსხვავებული ტიპი — მონუმენტური ოპერა-ტრაგედია „აბესალომ და ეთერი", ლირიკულ-დრამატული „დაისი", გმირულ-პატრიოტული „ლატავრა".

ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, რესპუბლიკის რამდენიმე სამუსიკო-სასწავლო დაწესებულება, ქუჩები — მოსკოვში, თბილისსა და ქუთაისში. თბილისსა და ქუთაისში გახსნილია კომპოზიტორის სახელობის სახლ-მუზეუმები, უკვე 40 წელია დაწესებულია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია.

ქართველი კომპოზიტორის 140 წლის იუბილე სხვადასხვა ღონისძიებებით უკვე აღინიშნა — თბილისში მდებარე მის სახლ-მუზეუმში არაერთი ღონისძიება ჩატარდა. ამჯერად კი ქართველი კომპოზიტორის იუბილე ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში აღინიშნება. საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი და სოლისტები მზია დავითაშვილი, ნინო ჩაჩუა, თეიმურაზ გუგუშვილი, ელდარ გეწაძე, გოჩა დათუსანი-ჯილაური, ეროვნული საგუნდო კაპელა, ქორმაისტერი არჩილ უშვერიძე. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი უდირიჟორებს, რომელიც ბოლო დროს დირიჟორობით აქტიურად დაკავდა.

# გოეთეს ინსტიტუტში გერმანული ფილმების კვირეული იწყება

ეკა ირემაშვილი

გოეთეს ინსტიტუტში 31 მაისიდან 4 ივნისამდე გერმანული ანიმაციური ფილმების კვირეული ჩატარდება. ღონისძიებაში ჩართულია თბილისის სამხატვრო აკადემიაც, სადაც ჩამოტანილ იქნება „იფა"-ს (უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის) გამოფენა. ამ ექსპოზიციას ერთობლივად წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი და თბილისის სამხატვრო აკადემია.

როგორც გოეთეს ინსტიტუტის კულტურული პროგრამების განყოფილების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „იფა"-ს გამოფენა „გერმანული ანიმაციური ფილმები" ერთგვარი შეჯამებაა გერმანიაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობებისა მხატვრული ანიმაციური ფილმების დარგში. ძირითადად წარმოდგენილი იქნება წარმატებული და ტიპიური თანამედროვე გერმანული პროდუქციები. გერმანელი ანიმატორი□ხელოვანები, ძირითადად, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებების მიღმა მოღვაწეობენ და საკმაოდ რთულ მედიალანდშაფტში უხდებათ გზის გაკვლევა. მათი მიზნები ხშირად მწარე კონტრასტშია მედია□ინდუსტრიის მოთხოვნილებებთან. ამ ხელოვანების შემოქმედება არა მხოლოდ ინდივიდუალური და ძალიან განსხვავებულია, არამედ სხვადასხვა სტილისტური მიმართულებების და ტექნოლოგიების მრავალსახეობის ფართო სპექტრს წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე გერმანული ხელოვნების ნიადაგზეა აღმოცენებული.

სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გამოფენა 3 ივნისს გაიხსნება და ერთი თვის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი. გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე დერეკ როსცენი, ჩაატარებს ორდღიან პრაქტიკულ ვორკშოპს. შტუტგარტის ანიმაციური კინოფესტივალის ხელმძღვანელი, ულრიხ ვეგენასტი, სემინარზე ფართო პუბლიკისათვის ისაუბრებს გერმანული ანიმაციური ფილმის ისტორიაზე, ხოლო მოქმედ ანიმატორებს შესთავაზებს ვორკშოპს საკუთარი ნამუშევრების პროდუქციასა და დისტრიბუციაზე, მათი ფესტივალებზე გატანასა და ალტერნატიული გავრცელების გზებზე. ჩატარდება ქართველი ანიმატორების პიჩინგიც.

ულრიხ ვეგენასტი კინომცოდნე, შტუტგარტის ანიმაციური კინოფესტივალის ხელმძღვანელი, მრავალი კინოფესტივალის მრჩეველი, ჟიურის წევრი და კურატორი და „გერმანული ანიმაციური ფილმის ისტორიის" გამომცემელია. რაც შეეხება მეორე სტუმარს, დერეკ როსცენი გერმანელი ანიმატორი და „იფა"-ს გამოფენის მონაწილეა.

გერმანული ფილმების კვირეულის ფარგლებში მოწვეული სტუმრები გოეთეს ინსტიტუტში შეკრებილ საზოგადოებას შესთავაზებენ ულრიხ ვეგენასტის მოხსენებას და ფილმების ჩვენებას — გერმანული ანიმაციური ფილმის ისტორია (ვაიმარის რესპუბლიკის და ნაცისტური პერიოდის ანუმაციური ფილმები), რომლის შემდეგაც ჩატარდება სემინარი თემაზე ანიმაციური ფილმების წარმოება გერმანიაში — პროდუქცია და დისტრიბუცია: დაფინანსება, ხელშეწყობა, სატელევიზიო არხების დაინტერესება, ფესტივალები და მოხმარების ალტერნატიული გზები, აქტუალური ტენდენციები, მოეწყობა ქართველი ანიმატორიების პროექტების პრეზენტაცია და პიჩინგი. დერეკ როსცენი ორ პრაქტიკულ ვორკშოპს ჩაატარებს თემაზე ანიმაციური ფილმების პერსონაჟები, დიზაინი, ანიმატიკა.

გოეთეს ინსტიტუტის კულტურული პროგრამების განყოფილების გადაწყვეტილებით, სემინარზე და ვორკშოპზე მონაწილეობა ჩაწერით მოხდება.

# კახა ცაბაძე კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ მეორედ აირჩიეს

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევნები გაიმართა. კავშირის წევრთა გადაწყვეტილებით, რიგით მე-18 ყრილობაზე, კომპოზიტორთა გაერთიანების თავმჯდომარედ კვლავ კახა ცაბაძე შეირჩა. კავშირის თავმჯდომარეობისთვის ორი კანდიდატი იბრძოდა — ბარამ ბარამიძე და კახა ცაბაძე. კავშირის წევრთა უმრავლესობამ სწორედ კახა ცაბაძეს დაუჭირა მხარი. ის საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირს კიდევ ხუთი წლის ვადით უხელმძღვანელებს.

მე-18 ყრილობას 129 წევრიდან 93 დაესწრო. კახა ცაბაძის კანდიდატურას დამსწრეთაგან 75-მა წევრმა დაუჭირა მხარი, ხოლო ბარამ ბარამიძის კანდიდატურას — 18-მა წევრმა. ყრილობამ კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის გარდა, გამგეობაც აირჩია, რომელშიც 19 ადამიანი გაერთიანდა. გამგეობის წევრები გახდნენ — კახა ცაბაძე, გიორგი შავერზაშვილი, ზურაბ ნადარეიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, მარინა ქავთარაძე, მაია ვირსალაძე, გულბათ ტორაძე, თამარ წულუკიძე, ლიდია (დოდო) გოგუა, ნინო (ნია) ბახტაძე, ნინო მესხი, შალვა დავითაშვილი, ელიზბარ ლომდარიძე, თეონა კახიძე, რუსუდან ხორავა, მიხეილ ოძელი, ბარამ ბარამიძე, ნათელა მამალაძე და ზურა ოიკაშვილი.

**კახა ცაბაძე, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე:**

— ორი კანდიდატი ვიყავით, ბატონი ბარამ ბარამიძე და მე. 93 წევრმა მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში. 18-მა ადამიანმა მხარი დაუჭირა ბატონ ბარამს და დანარჩენმა 75-მა წევრმა — მე. ძალიან სასიამოვნო მომენტია, თუმცა იცით რა არის უფრო სასიამოვნო? როცა პირველად გირჩევენ, მაინც დაპირების და ნდობის მომენტი თამაშობს გადამწყვეტ როლს, მაგრამ როცა უკვე სამი წელი ნამუშევარი ხარ და მეორედაც გირჩევენ, ეს ორმაგად სასიამოვნოა. ალბათ ეს უფრო ცოტა დამსახურების ბრალია, ალბათ რაღაც ნდობის გამო მოხდა ჩემი არჩევა. სიმართლე რომ გითხრათ, ორმაგი პასუხისმგებლობა მაქვს ახლა და მეტის გაკეთებას მოვითხოვ საკუთარი თავისგან, ვიდრე პირველად რომ ამირჩიეს.

***— კომპოზიტორთა კავშირში სულ რამდენი წევრი გყავთ?***

— სულ 129 წევრი გვყავს, მაგრამ მათგან ბევრი საზღვარგარეთ მუშაობს და ისინი ფიზიკურად ვერ იყვნენ საქართველოში.

***— პროგრამა იგივე გაქვთ თუ სიახლეებს ჰპირდებით კავშირის წევრებს?***

— დიდი პროგრამა არ



შემიდგენია, რადგან მათ სამი წლის განმავლობაში დაინახეს რას ვაკეთებ და რისი გაკეთება მინდა. ძირითადი პუნქტები იყო ის, რაც შარშან გავაკეთეთ კულტურის სამინისტროსთან ერთად.

***— რა გააკეთეთ?***

— კულტურის სამინისტრო შეგვპირდა, შარშან განახორციელა და ყოველ წელს დაიგეგმა, რომ უახლეს ქართულ მუსიკას, ყოველ წელს სახელმწიფო კოლექტივები შეასრულებენ. ეს ძალიან დიდი სტიმულია კომპოზიტორისთვის, როცა იცის, რომ მისი ნაწარმოებები ნამდვილად შესრულდება. ამ დროს სულ სხვა განწყობით მუშაობ, მაგრამ როცა იცი, რომ გადაიდება და მარტო შენთვის აკეთებ, ძალიან ძნელია ასეთ პირობებში მუშაობა. მეც ბევრი მაქვს ასეთი ნაწარმოები და ბოლომდე არც ერთი არ მაქვს მიყვანილი. როცა იცი, რომ არ უნდა შესრულდეს და არ უნდა დაიდგას, კომპოზიტორი მოტივაციას კარგავ. გავაკეთეთ ჟურნალი „მუსიკა", ადრე გაზეთი იყო, ახლა კი ჟურნალია და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე იბეჭდება. დაწესდა კულტურის სამინისტროს მიერ პრემიები საუკეთესო წლის საუკეთესო ნაწარმოებისთვის და წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომისთვის. ესეც ძალიან დიდი სტიმულია როგორც კომპოზიტორებისთვის, ისე მუსიკისმცოდნეებისთვისაც. მთავარი ჩემთვის იცით რა არის? ქართული პროფესიული მუსიკისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, თუმცა არ მინდა სიტყვა „შეიცვალა" ვთქვა, ყოველთვისაც პატივს სცემდნენ, მაგრამ სხვა ურთიერთობა გვაქვს იგივე კულტურის სამინისტროსთან, მერია გვიდგას მხარში. მთელ კავშირს თავისი თანამშრომლებით, აპარატით, გაგვიკეთეს სამედიცინო დაზღვევა, გაგვიკეთეს სტუდია, ბევრი საქმე გაკეთდა რეალურად. ჩატარდა კონკურსი ოთხ ნომინაციაში — ქართველი პოეტების ლექსებზე დაწერილი ვოკალური ნაწარმოებები, კამერული, საგუნდო, საბავშვო ნაწარმოებები. თანხა გამოყო სამინისტრომ მათ დასაჯილდოებლად და 24-მა ნაწარმოებმა გაიმარჯვა ამ ნომინაციებში. ჩათვალეთ, რომ კომპოზიტორისთვის ესეც ჰონორარის სახით მიღებული თანხაა, გინდა შეუძენია სამინისტროს და გინდა კონკურსში გაუმარჯვია 24 ნაწარმოებს. ეს ყველაფერი ძალიან მასტიმულირებელია.

***— ეს თქვენი სიყოჩაღის დამსახურებაა?***

— მე ვაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია. „მოქნილი" არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ როდესაც საერთო საქმეს აკეთებ, იქ ეტყობა გაცილებით მეტი შეგიძლია. საკუთარი თავისთვის როცა მინდა, იქ ნამდვილად უკან ვიხევ, მაგრამ როცა კავშირს და კომპოზიტორებს ეხება საქმე, აქ არ მაქვს არანაირი მუხრუჭი. მადლობელი ვარ კავშირის წევრების თანადგომისთვის, ჯანსაღი ოპოზიციისთვის, იმ ურთიერთობისთვის, რომელმაც მართლაც კავშირის ავტორიტეტი ამ ბოლო პერიოდში აამაღლა და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.

***— რამდენი წლით იქნებით კავშირის თავმჯდომარე?***

— ხუთი წლით ვიქნები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

***— კიდევ გაქვთ მონაწილეობის მიღების უფლება?***

— ჩვენთან ორჯერ არის შესაძლებელი თავმჯდომარეობის კანდიდატად ერთი და იგივე კანდიდატის წარდგენა. კავშირის თავმჯდომარე ვიქნები თუ არა, მაინც მის გვერდით ვიდგები და კავშირის ცხოვრებაში აქტიურად მივიღებ მონაწილეობას. ვთვლი, რომ ასეთი კავშირები აუცილებლად უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ რაც ჩამოვთვალე, მსგავსი პროექტები განხორციელდეს. კავშირი კარგი მუსიკის დაწერის გარანტიას არ იძლევა, მაგრამ რომ შესრულდეს ნაწარმოები, გამოიცეს ნოტები, ამაში ყველაფერში კომპოზიტორს ნამდვილად ეხმარება. ბევრი ამბობს, რად მინდა კავშირის წევრობა, ისედაც დავწერ მუსიკასო. კი ბატონო, მაგრამ მის მუსიკას შესრულება, ნოტებს გამოცემა ხომ უნდა? ამ ყველაფერს მოვლა სჭირდება. ბოლომდე კავშირის გვერდით ვიქნები, რადგან უცხოეთშიც არის ასეთი გაერთიანებები, რომლებსაც სხვადასხვა სახელწოდებები ჰქვიათ.

***— გამგეობის წევრებიც აირჩიეთ?***

— დიახ, ეს იყო რიგით მე-18 ყრილობა, სადაც ჩატარდა არჩევნები. ჩვენ გამგეობის 19 წევრი ავირჩიეთ.

# ავთანდილმა კოლექცია უკრაინაში წარადგინა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო და ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში.

სტუმრებისთვის შთამბეჭდავი საღამო მოაწყეს მოჯირითეებმა, სადაც გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. „მაყურებლის სიმპათიას" სანდრა რულოვსის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადაეცა. საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი წვეულება კიევთან ახლოს ქართული ჰანგებით დასრულდა.

საღამოზე კონცერტი და ავთანდილის ჩვენებაც მოეწყო. როგორც ქართველმა დიზაინერმა განმარტა, ვინაიდან კონცეფცია ღია ცის ქვეშ უნდა მოწყობილიყო, ამიტომ მან თავისი არჩევანი „ფერადი ზაფხულის" კოლექციაზე შეაჩერა და სწორედ ის წარუდგინა უკრაინელ საზოგადოებას. ავთანდილმა ამჯერადაც ორიგინალურობა შეინარჩუნა და თავისი კოსტიუმები არა მოდელებს, არამედ უკრაინელ ტანმოვარჯიშეებს მოარგო.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შამფურზე სამწვადედ ასაგები ხორცის ნაჭრები; 2. ხის სახლების აგების ოსტატი; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 5. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 8. გადასახადების ამკრეფი ორგანიზაცია ძველად; 9. მუზეუმი ბერლინში; 12. მხატვრის ფუნჯი; 14. სტადიონი მეხიკოში; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

**თარაზულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. ზაქარი ფალიაშვილის ოპერა; 9. გერმანული იმპერია; 10. ლატვიის დედაქალაქი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნაწილი; 17. გადაშენებული გიგანტური სპილო; 18. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 19. სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ქალაქი სან-ფრანცისკოს მახლობლად; 20. ოსტატის მოწაფე.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სტენდალი; 6. ტრაბახი; 8. საკმაზი; 10. კატალოგი; 11. სტენდი; 13. ნაილონი; 16. მატყუარა; 18. ბამბა; 19. შლეგი; 21. ქარტია; 22. ინჟინერი; 23. მაგიური.

**შვეულად:** 1. ატრიბუტი; 2. „სარკე"; 3. ტანაჯორი; 4. კითარა; 7. აზატი; 9. ოდეტა; 12. ინკუბატორი; 14. კასეტი; 15. ვულკანი; 17. კასაცია; 20. შაირი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რეა; 2. ბალახი; 3. მინერვა; 4. ნოე; 5. არფა; 6. რუ; 7. აბაი; 8; ნანდუ; 9. ფა; 10. თხა; 11. ოდა; 12. შანდალი; 13. ია; 14. ომარ; 15. კარადა; 16. აბაჟური; 17. სან; 18. დუნაი; 19. ბარდა; 20. პრაიდი; 21. „ასია"; 22. დია; 23. ნაღარა; 24. კარპატები; 25. ანოა; 26. „აღდგომა"; 27. ტუია; 28. ნარ; 29. ასიმეტრია; 30. რანდევუ; 31. კარავაჯო.

**სურათებზე:** კაროლინა კურკოვა; ხუან პაბლო სორინი.

# სოფელ დიღმის სკოლას ტექნიკურ წყალს აწვდიან

შორენა კოწოწაშვილი

დედაქალაქის მერია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას განაგრძობს და ამ გზით და სატელევიზიო პიარგანცხადებებით ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს ხალხზე მზრუნველი ხელისუფლებაა და რომ ძალიან აინტერესებთ იმ ადამიანების პრობლემები, რომლებიც საკუთარი გადასახადებით აფინანსებენ ამ მალალანაზღაურებად ხელისუფლებას.

ამჯერად დედაქალაქის ხელმძღვანელობამ ყურადღების გამოჩენა სოფელ დიღმის მიმართ გადაწყვიტა, რომელიც იმ 22 სოფელს შორისაა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ დედაქალაქის საზღვრებში მოაქცია.

აღსანიშნავია, რომ სოფელი დიღომი მუდმივად იყო ხელისუფლებისგან მიტოვებული, ეს ეხება როგორც წინა ხელისუფლებას, ასევე მოქმედს — ნაციონალურ მთავრობას, რომელმაც ფული თბილისის ბიუჯეტიდან გუდაურის განვითარებისთვისაც გამონახა, სხვა პროექტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ და აგერ, საბურთალოს საზღვრებში მოქცეული სოფელ დიღმისთვის, რომელიც ქალაქის ცენტრიდან 15 წუთის მანძილზეა, მხოლოდ ახლა გამოძებნა საჭირი სახსრები გზის რეაბილიტაციისთვის.

გზის დაგება რომ კარგია და აუცილებელი, ამაზე არ ვკამათობთ, მაგრამ საინტერესოა, რატომ მხოლოდ და მხოლოდ ახლა გაახსენდათ სოფელი დიღომი და დიღმის პრობლემები? ფაქტია, გზის პრობლემა სოფელ წლების მანძილზე აქვს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საშინელი გზა თბილისის სიახლოვეს მდებარე არც ერთ სოფელში შეიძლება არ იყოს.

დიღმის გზა, როგორც დღეს არის დანგრეული, ასეთივე მდგომარეობაში იყო იმ დროსაც, როცა სოფელში დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა სოფლის საჯარო სკოლა. სკოლის გახსნას პრეზიდენტთან ერთად საბურთალოს რაიონის ის დეპუტატებიც ესწრებოდნენ, რომლებიც მხოლოდ ტელეკამერების და პრეზიდენტის თუ გიგი უგულავას გამოჩენის დროს მიდიან სოფელ დიღომში. არადა, პარლამენტის უმრავლესობის წევრმა გიორგი მელაძემ და საკრებულოს წევრმა ნინო თევდორაძემ სოფელ დიღმიდან ადგილობრივი ნაციონალების თუ უფრო მოკრიმინალო, თაღლითულ საქმიანობაში შემჩნეული დიღმელების წყალობით ხმების სოლიდური რაოდენობა წაიღეს და ამის შემდეგ დიღომთან და დიღმელებთან შეხებაც შეწყვიტეს.



გუშინ მელაძე და თევდორაძე კვლავ გამოჩნდნენ სოფელ დიღმის შესასვლელში, თუმცა, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ გიგი უგულავაც მიდიოდა და თან ეს ვიზიტი ტელეკამერების თანხლებით ხდებოდა.

თბილისის მერმა სწორად შენიშნა, რომ სოფელს გზის პრობლემა წლების მანძილზე აქვს და მისი მოგვარება, ანუ ფაქტობრივად ახალი გზის დაგება აუცილებელი იყო. თუმცა გიგი უგულავამ გზის 4-კილომეტრიან მონაკვეთზე გააკეთა აქცენტი, რითაც გამოკვეთა, რომ სოფლის გზა სრულად არ შეკეთდება.

დიღმელების განცხადებით, ინფორმაცია ვრცელდება, რომ გზა მხოლოდ სოფლის ცენტრამდე დაიგება. არადა, ცენტრის ზემოთ იმაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე რამდენიმე სოფელში ერთად აღებული.

ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ ადგილობრივების უკმაყოფილება გამოიწვია. ადგილობრივები მოითხოვენ, დიღომში გზა სრულად დაეგოს ანუ სოფლის ბოლომდე. ფაქტობრივად, ეს იქნება ის ერადერთი სიკეთე, რასაც ამ სოფლის მოსახლეობა სააკაშვილის ხელისუფლებისგან მიიღებს.

ნაციონალებმა სიბრმავე და სიყრუე რომ არ დაგვაბრალონ, გეტყვით, რომ ამ სოფელში მართლაც მასშტაბური, თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლა აშენდა, მაგრამ ამ სკოლის მშენებლობისას, როგორც ითქვა, სოლიდური თანხები იქნა გაფლანგული. გარდა ამისა, სკოლის მოსწავლეებს სასმელი წლის პრობლემა ისე მოუგვარეს, რომ დღეს ფაქტობრივად ტექნიკურ წყალს იღებენ, რადგანაც ძველი, ჟანგიანი მილებით მოხდა სკოლაში სასმელი წყლის შეყვანა, რაც როგორც ითქვა, „ფულის მოხსნის" კარგი საშუალება იყო. დაისაჯა თუ არა ვინმე ამ არცთუ მარტივი კორუფციული ოპერაციისთვის, ჩვენთვის უცნობია. სოფელს კი შერჩა გადათხრილი გზა და ფაქტობრივად, ჯამნრთელობისთვის საზიანო და სასმელი უვარგისი წყალი.

— გზის პრობლემის გარდა სოფელს აქვს მიწების დაკანონების პრობლემაც. დაახლოებით 600-მდე ოჯახს დაუკანონდა შესაბამისი მიწის ფართობი. დამატებითი 100 ჰექტარის აზომვითი სამუშაოები, დადგენები და შეჯერება ხდება ძველ საბუთებთან და ეს პროცესიც აქტიურად მიდის. საერთოდ, ეს შემოერთებული სოფლები და განსაკუთრებით, ყველაზე დიდი მათ შორის სწორედ სოფელი დიღომია, საჭიროებდა აი, ამ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს იმისათვის, რომ ქალაქის ორგანულ ნაწილად იქცეს. ამ ყველა ღონისძიებით ნელ-ნელა მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის სრულფასოვან მოსახლეობად იგრძნობს თავს დიღმის მოსახლეობაც ისე, რომ ის ავტენტური ცხოვრების წესი, რაც სოფელ დიღმისთვის არის დამახასიათებელი, შენარჩუნებული იქნება, — განაცხადა გიგი უგილავამ.

დეპუტატ მელაძის თქმით, მერიამ დაიწყო და ზაფხულის პერიოდში მთლიანად 4 კილომეტრიანი მონაკვეთი იქნება კაპიტალურად გარემონტებული და მოსახლეობას შეეძლება თავისუფლად იმოძრაოს ცენტრის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს მიწის ნაკვეთების პრობლემა, რომელიც მოსახლეობამ წინა ხელისუფლების დროს მიწის რეფორმის ფარგლებში მიიღო და მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა დღემდე ვერ მოახერხა მიწების დაკანონება. შეფერხების მიზეზი სწორედ ხელისუფლება იყო მაშინაც და ახლაც.

რევოლუციურმა ხელისუფლებამ სცადა ამ პრობლემის მოგვარება, საკმაოდ მისაღები სვლაც გააკეთა — მოსახლეობას საკუთარ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს სიმბოლურ ფასად 1 ლარად შეძენის საშუალებას აძლევს, მაგრამ ეს პროცესი ძალიან იჭიმება. ამის მიზეზებს საკრებულოს წევრი ნინო თევდორაძე ზუსტად ვერ ხსნის, თუმცა აცხადებს, რომ ეს რასაც მერია დიღმელებისთვის უპრეცედენტოა და რომ ყველა მესაკუთრის უფლებები იქნება დაცული. ეს სიტყვიერი განცხადება კარგია, თუმცა ფაქტია, რომ ფირმამ, რომელის მერიამ დააფინანსა და რომელსაც მიზის ნაკვეთების აზომვები უნდა ჩეტარებინა და აზომვითი ნახაზები გაეკეთებინა, სამუშაოები შეწყვიტა, მიზეზი — სავარაუდოდ სამუშაოების დაუფინანსებლობა.

მოსახლეობას აინტერესებს, რა პერიოდისთვის დასრულდება სოფელ დიღმის საზღვრებში მოქცეული დიდგორის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონება. სოფლის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ უგულავა სიტყვას შეასრულებს და მათ უძრავ ქონებას უპრობლემოდ დაიკანონებენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნოდარ როგავას გახსენება

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ინტელიგენციას მოულოდნელად გამოაკლდა შესანიშნავი მამულიშვილი, სოხუმის ინდუსტრიული კოლეჯის ყოფილი დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი ნოდარ როგავა.

ბატონი ნოდარის გარდაცვალებამ შეძრა მთელი საზოგადოება. ჩვენგან წავიდა განათლების სფეროს თავდადებული მოღვაწე, ჩინებული ორგანიზატორი, საოცარი ენერგიის, მაღალი ნიჭისა და დიდი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებს, მეგობრებსა და ახლობლებს შორის.

ბატონი ნოდარი სრულიად ახალგაზრდა მივიდა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში და თითქმის 40 წელი ემსახურა ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეს. ის მუდამ იყო ახალგაზრდების ქომაგი და მხარდამჭერი. დევნილობის მძიმე წლებში ბატონი ნოდარისა და მისი თანამოაზრეების ტიტანური შრომის შედეგად მოხერხდა ინდუსტრიული ტექნიკუმის ფუნქციონირების აღდგენა ქ.თბილისში, სადაც ასეულობით აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა დაეუფლა სხვადასხვა პროფესიას.

ბატონი ნოდარი მუდამ ახლის ძიებაში იყო. სურდა ფეხი აეწყო პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმებისთვის და აფხაზეთის დღევანდელ სინამდვილეში შეექმნა ახალი ტიპისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სასწავლებელი.

ვწუხვართ, რომ მან ამის გაკეთება ვერ მოასწრო. ბატონი ნოდარის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და ახლობლების გულებში.

**აფხაზეთის ა%რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო**

---

ჯემალ გაბისონია, კოტე ვეფხვაძე, თამაზ ქიტიაშვილი ოჯახებით იუწყებიან მეგობრის

**ნუგზარ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ოთარ გაგუა, კარლო სოზიაშვილი, ნოდარ ჩიბალაშვილი, მიხეილ ქავთარია იუწყებიან

**შალვა კვინტრაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

ერთგულ მეგობარს, სულიერად თანაზიარ და დიდბუნებოვან ადამიანს ის განსაკუთრებულობა ახასიათებს, რომ იგი ყოველი ჩვენგანის გულში თავისი მეობითა და განუმეორებლობით თავის კუთვნილ ადგილს იმკვიდრებს. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ შალვა ნიკოლოზის ძე კვინტრაძე. ოპტიმიზმით, ხალისიანი ღიმილით, ხვალინდელი დღის რწმენითა და იმედით დამშვენებული. ეს ადამიანი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების დასაყრდენი და მოყვასის მხრის გამწევი იყო.

საქართველოს პენსიონერთა კავშირს, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე საქმიანობდა, დიდად დააკლდება შალვა კვინტრაძის ღვაწლი და ამაგი.

დიდი მწუხარებით ვიუწყებით ამაგდარი ადამიანის

**შალვა კვინტრაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

**საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობის სახელით, ადერკინ კოპლატაძე**

---

ბიძაშვილები თიესა, ვაჟა, ლადო ლესელიძეები, დეიდაშვილები ნაზი კვერენჩხილაძე, გულიკო, ოსო გრძელიძეები, რძლები ნაზი შანავა, პაწია ავთასი, გულნაზი თავბერიძე, ლამარა სიხარულიძე, როზა ჯორბენაძე, ლალი თავაძე, სიძე რობერტ არიშვილი, ბიძაშვილიშვილები ლელა, გოჩა ლეელიძეები, დეიდაშვილიშვილი ნატო მენაღარიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თეიმურაზ (ზურიკო) გადახაბაძე**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.
დაკრძალვა: 31 მაისს, ოზურგეთში.

---

დედა ციცო, მამა ელგუჯა (ბუთხუზი), და ირმა, ძმა რიჩარდ თოხაძეები, ბიძა თემურ მევლუფიშვილი, ბიცოლები ციცო ვახანია, თამილა მელითაური, ბიძაშვილები ლევან, გიგი, დათა, ბაჩუკი მევლუფიშვილები, თეა და გოგა თოხაძეები, მამიდაშვილები უჩა და რუსუდან ადამიები, ალექსი, თამარ ჯაშები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**მაია თოხაძე**

პანაშვიდი: 31 მაისსა და 1 ივნისს, 17 საათზე, ს.ზაქარიაძის 15.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 2 ივნისს, 15 საათზე, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან, ხეთაგუროვის 7.

---

ოჩამჩირის რკინიგზის №15 საშუალო სკოლის პედკოლექტივი, კლასის ხელმძღვანელი ლიანა ჯოჯუა და 1992 წლის მე-10 კლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მაია თოხაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი

**ვალერიან აქვსენტის ძე ზუხბაია**

და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, სამეცნიერო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, პროფესორი

**ვალერიან აქვსენტის ძე ზუხბაია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 31 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "დრო" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 00.55** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"გარიყულები"** (მადონა) (სუბტ.) **00.35** მოამბე **01.55** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფ.**"რობინ ჰუდი: მამაკაცები რეიტუზებში"** **01.00** მხ. ფ. **"დაკარგული"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა 20 ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ.**"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი **"ევროპელი ჟიგოლო"** (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"ნედ კელი"** (12) (ჰ. ლეჯერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.00, 16.00** სახლი ბათუმში **11.50, 21.00** სერ.**"გაზაფხული"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"სკოლის მეგობრები"** **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ.ფ."სარფი მოლენი" **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** 1-ლი ნ. **13.30** კონცერტი – ნიჭიერთა ათწლედი რომში **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"** **16.55** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.25** მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-2ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სადვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**31 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6768

ევრო —2,3482

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7043

რუსული რუბლი — 0,0591

## ამინდის პროგნოზი 31 მაისისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 15-16

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 17-18

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — 4-8








წამალი “ფერდი” შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ”ფერდი” დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი ”ფერდის” მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი “ფერდი” იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა “ფერდი”. 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ბლატერი გაამართლეს



შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამართულ ფიფას ეთიკის კომიტეტის სხდომაზე, ორგანიზაციის პრეზიდენტ იოზეპ ბლატერს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს, ხოლო მისი ოპონენტები, აზიის კონფედერაციის თავმჯდომარე მოჰამედ ბინ ჰამამი და კონკაკაფ-ის პრეზიდენტი და ამავდროულად, ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯეკ უორნერი, დროებით ფეხბურთთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას ჩამოაშორეს.

— ბლატერთან დაკავშირებით არანაირი გამოძიება არ ჩატარდება. იგი უდანაშაულოა, ბინ ჰამამსა და უორინერს კი, მის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხის გაცემა მოუწევთ. ეს საქმე განსაზღვრული გეგმით წარიმართება. კომიტეტს საფუძველი აქვს, მათ სასჯელი დააკისროს, % განაცხადა ფიფა-ს ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, პეტრუს დამასებმა გარდიანთან საუბარში.

თავის მხრივ, ბლატერმა, რომელსაც 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლის არჩევისას გარკვეულ მაქინაციებში მონაწილეობას აბრალებდნენ, განაცხადა, რომ მომხდარის დეტალურად კომენტირება არც სურს.

— მომხდარის დეტალურად კომენტირება არც მსურს. ვწუხვარ იმის გამო, რაც ბოლო დღეებში მოხდა. ფიფა-ს იმიჯი დაზარალდა, რაც თავად ორგანიზაციისთვის და ფეხბურთის მოყვარულთათვის სამწუხარო უნდა იყოს.

## ავთანდილმა კოლექცია უკრაინაში წარადგინა



ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა დიზაინერმა ავთანდილმა უკრაინაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან მიძღვნილ საღამოზე კოლექცია „ფერადი ზაფხული“ წარადგინა. წვეულება ორივე ქვეყნის ჰიმნით გაიხსნა და ავთანდილის „ფერადი ზაფხულის“ კოლექციის ჩვენებით დაიხურა.

მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პოლიტიკოსები, ელჩები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. მიღებას დაესწრო უკრაინის


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 31 მაისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაწყენთ. **კირჩხიბი** — ყველა საქმე გამოგდით, იაქტიურეთ. **ლომი** — ახალი ნაცნობობა სიკეთეს მოგიტანთ. **ქალწული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, თავი შეიკავეთ. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ მსუბუქი საკვები. **მშვილდოსანი** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ. **თხის რქა** — შორიდან ნუ მოუვლით, პირდაპირ თქვით სათქმელი. **მერწყული** — საკუთარ თავს მიხედეთ, ყველას ნუ გადაყვებით. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 30 მაისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 6**

# რიშელიე

**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## იუმორი



***

— ხილი აკრძალულად თუ გამოაცხადეს, ყველას სამყოფი არ ყოფილა...

***

პიკნიკზე:

— არა, როგორ გეკადრება, ბალახი სულაც არ არის სველი, უბრალოდ ბოსტნეულის სალათში ჩაჯექი...

***

მასწავლებელმა ცარცი აიღო, დაფაზე რამდენიმე წერტილი დასვა და ახსნა დაიწყო.

— ა წერტილიდან მოვხვდებით ბ წერტილში, ბ წერტილიდან ცე წერტილში, ცე წერტილიდან დე წერტილში, შემდეგ მოდის ე წერტილი, ეფ წერტილი, და ბოლოს, აშ წერტილი.

— კი მაგრამ, ჟე წერტილში არ მოვხვდებით?

— ადრეა ჯერ თქვენთვის ჟე წერტილში მოხვედრა...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 2. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 4. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 6. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში; 11. ნახატი, სურათი ბუნების ხედით; 15. ენათმეცნიერი; 16. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 17. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 19. მდინარე კახეთში; 21. გრძელ დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 22. სახელმწიფოს მმართველთა უმაღლესი ტიტული არაბულ ქვეყნებში.

**შვეულად:** 5. ტყის ნარგავების რაოდენობის, ხეების მოცულობისა და ნამატის განსაზღვრა, შეფასება; 7. ბანქოს სათამაშო სპეციალური მაგიდა; 8. ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 10. ფირდოუსის ეპიკური თხზულება; 12. უნგრული ღვინო; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 18. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 20. უკრაინული ცეკვა; 23. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 24. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 25. აფრიკის ან აზიის ტროპიკებში გავრცელებული ნახევარმაიმუნი; 26. ბერძნული ყველი; 27. ხარჯების გასაწევად გაცემული თანხა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა





ლურჯი წითელი ყვითელი შავი